1. შესავალი

წიგნი, რომელსაც მე გთავაზობთ, მნიშნელოვან წილად შეიცავს სხვადასხვა წლებში დაწერილ წარსულ მოვლენებთან დაკავშირებით პუბლიცისტურ სტატიებს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩემის აზრით, ამ სტატიებმა არამც თუ არ დაკარგეს თავისი მნიშვნელობა ახლა, საქართველოში ხავერდოვანი ("ვარდების") რევოლუციის დაწყებითი ეტაპის აღსრულების დროს, არამედ პირიქით ზუსტად ახლა – როდესაც საზოგადოებაში და ხალხში გაიღვიძა ეროვნული ღირსების სწორმა, კონსტრუქციულმა გაგებამ (და ამაში განსაკუთრებული როლი ეკუთვნის ამ რევოლუციის ინიციატორებს და ლიდერებს) – აღმოაჩინეს თავისი ჭეშმარიტი მნიშვნელობა. საქმე ის არის, რომ ე. შევარდნაძის კორუმპირებული რეჟიმის პოლიტიკური დამარცხებით არ ამოიწურება საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობის იმ ბედნავსი პრობლემების წარმოშობის მიზეზი, რომლებიც ისე დიდებულად გაიფურჩქნა საზოგადოებაში ხსენებული პოლიტიკოსის – ბატონ ე. შევარდნაძის – უკანასკნელი მმართველობის დროს (თუმცა, მისივე მმართველობის წინა, "კომუნისტურ" პერიოდში ამ პრობლემებმა უკვე იჩინეს თავი, მაგრამ მაშინ ხერხდებოდა მათი შენიღბვა). მიზეზი უფრო ღმად არის მოთავსებული, მეტიც, თავად ის რეჟიმი იზრდება ამ მიზეზებიდან, როგორც მცენარე – თავის ფესვებიდან.

შევარდნაძისეულ საზოგადოებას (რუსი მწერლის ვ. ასტაფიევის წყალობით) ეკუთვნის ის მნიშვნელოვანი აღმოჩენა-აღიარება, რომ ქართველები – დაავადებული ერია. მაგრამ პრობლემა ის არის, თუ რითია დაავადებული ეს ჩვენი ერი? ჩემს სტატიებში მე შევეცადე გამეცა პასუხი ამ კითხვაზე, და ჩემი დიაგნოზი ასეთია: უკიდურესი (ცხოველური) პრაგმატიზმი და მასთან დაკავშირებული სოციალური კულტურის სასტიკი დეფიციტი. (ამ პრობლემების შესახებ იხ. თავები 6, 8 და 9).

აქედან გამომდინარე, სხვათა შორის ჩვენ შეგვიძლია გავაკეთოთ ასეთი დასკვნაც: შორს გამიზნული პროგრესული გარდაქმნების წარმატება იწყება უკვე ახლა, პირველ ყოვლისა საშუალო განათლების რეფორმით, მისი (განათლების) თვალშისაცემი ცალმხრივობის გადალახვით. მაგალითად, "ვეფხისტყაოსანს" საშუალო სკოლაში სწავლობენ თითქმის ექვსი წლის განმავლობაში, მაშინ როდესაც ისეთ თანამედროვე ლიტერატურულ ძეგლს როგორიც არის მიხეილ ჯავახიშვილის რომანი "კვაჭი კვაჭანტირაძე", ან იონა ვაკელის ფაქტობრივად ქრესტომატიულ ლექსებს არ ეთმობა არც ერთი საათი. აგრეთვე, ცნობილია მოხელის (ჩინოვნიკის) საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დანიშვნის მიზნით შექმნილი ტესტური გამოცდების სისტემა, რომლის ანალოგი იყო დამუშავებული ჯერ ძველ ჩინეთში, და რომელმაც ჰპოვა მნიშვნელოვანი განვითარება და გავრცელება თანამედროვე ცივილიზებულ ქვეყნებში. საქართველოშიც საჭიროა ამ სისტემის დამუშავება, ამასთან გადამწყვეტი როლი ტესტებში უნდა ენიჭებოდეს თანამდებობის პრეტენდენტის სოციალური კულტურის დონეს და საერთოდ ამ ფენომენის არსებობას მის ფსიქიკაში.

ამ წიგნის რამოდენიმე სტატია (თავი) ეძღვნება საქართველოში დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის პრობლემებს, კერძოდ ლაპარაკია ძალაუფლების გაყოფის სისტემაში ასეთი მნიშვნელოვანი რგოლის ადგილზე და ფენომენზე როგორიც არის სასამართლო ხელისუფლება. მე ვფიქრობ, რომ ამ მხრივ ქართულ სახელმწიფოებრივ ტრადიციაში არსებობს ასეთი, ამჟამად გამოუყენებელი, პოტენციალი, რომელიც მოგვცემს საშუალებას შევქმნათ ისეთი უნიკალური

სახელმწიფო სისტემა, რომელიც მაქსიმალურად გაითვალისწინებს ქართველის ისტორიულ დამოკიდებულებას თავის სახელმწიფოსთან და ამავე დროს შექმნის ჭეშმარიტად დემოკრატიულ საზოგადოებას სასამართლო ხელისუფლების სრული ემანსიპაციის გზით. (იხ. თავები 2-5 და 7).

ეს სტატიები იწერებოდა საზოგადოებრივი მოვლენებით გამოწვეულ საჭირბოროტო საკითხების საპასუხოდ, უშუალოდ მოვლენების ვითარების დროს და, როგორც წესი, მაშინვე იბეჭდებოდა პრესაში. ცნობები გამოქვეყნების შესახებ მოცემულია შენიშვნებში, რომელიც თან ახლავს სტატიებს. როგორც წესი ამ მხრივ რედაქტორებთან პრობლემები მე არ მქონდა (ზოგიერთის გარდა), თუმცა როდესაც რედაქტორების მიერ იცვლებოდა სტატიაში ჩემგან ჩადებული აზრი, მე ვაპროტესტებდი ასეთ პუბლიკაციას ღია წერილით რედაქტორის სახელზე (ის წერილებიც მოყვანილია ამ კრებულში). მაგრამ ერთი ჩემი სტატია – "გია აბესაძე და ქართველი ერი" – არ დაბეჭდა არც ერთმა რედაქტორმა, თუმცა მიბრუნებდნენ სინანულით. ეს სტატია აქ ქვეყნდება პირველად.

ეროვნული კრიზისი საქართველოში დაიწყო დამოუკიდებლობის მოპოვების პირველივე დღიდან. უფრო ზუსტად რომ ვთქვად ეს კრიზისი განვითარდა საბჭოთა კავშირის საერთო კრიზისიდან და აღმოჩნდა ძალზე ხანგრძლივი. ის ვითარდებოდა საქართველოს პირველი პრეზიდენტის დროს და განსაკუთრებულად დიდი მასშტაბი და სიღრმე მიიღო მეორე პრეზიდენტის ხანაში. რა თქმა უნდა კრიზისი გრძელდება; და თუმცა "ვარდების" რევოლუციამ შექმნა ამ კრიზისის გადალახვის წინაპირობა, მაგრამ, ამ წინაპირობის რეალიზაცია წარმოადგენს უზარმაზარ პრობლემას. იმედია, ამ წიგნში მკითხველი დაინახავს კონსტრუქციულ მიდგომას ეროვნული კრიზისის გადალახვის ამოცანასთან.

2003 წლის ნოემბერი

2. როგორ გამოვიდეთ ეროვნულ კრიზისიდან?!

ჩვენ ვდგევართ ეროვნული კრიზისის ფაქტის წინაშე. აშკარაა პრეზიდენტის ადმინისტრაციის სერიოზული შეცდომები, არც ის არის გამორიცხული, რომ, როგორც ხელისუფლების წარმომადგენლები განმარტავენ, აქ განსაკუთრებულ როლს თამაშობს ზოგიერთი პირის განაწყენიანება და, რომ ადგილი აქვს საქართველოს შინაგან საქმეებში გარეგნული ძალების ჩარევას. მაგრამ, კრიზისის მიზეზი უფრო ღრმაა – ეს არის საქართველოში დემოკრატიის ბედის საკითხი.

უნდა ითქვას, რომ დემოკრატიისათვის ბრძოლა და საბჭოთა იმპერიის ხალხთა ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობა განუყოფლად დაკავშირებულია ერთი მეორესთან. ეჭვგარეშეა, რომ ზ. გამსახურდია არის ამ მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ მნიშვნელოვან წილად მისი მოღვაწეობის წყალობითაც ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობა გახდა არამც თუ საბჭოთა კავშირში დემოკრატიისათვის ბრძოლის განუყოფელი ნაწილი, არამედ ამ ბრძოლის წამყვანი ძალაც კი, ბატონმა ზ. გამსახურდიამ გამოიჩინა გულგრილობა უშუალოდ დემოკრატიის პრინციპებისადმი. ამ

გულგრილობამ გაუხსნა გზა პრეზიდენტის ადმინისტრაციის და მისი იდეოლოგიური აპარატის მტრულ განწყობილებას ნებისმიერი ოპოზიციის მიმართ. არა მხოლოდ და შეიძლება იმდენად არა იმ ოპოზიციის მიმართ, რომელიც მიმართავს არაპარლამენტურ, საზოგადოებრივი წესრიგის არევის მეთოდებს, არამედ, უფრო შეუპოვრადაც კი, იმ იდეური ოპოზიციის მიმართ, რომელიც აღიარებს პოლიტიკური ბრძოლის მხოლოდ პარლამენტურ და მტკიცედ კანონიერ მეთოდებს (იგულისხმება საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია). სამწუხაროდ, ასეთი განწყობილება არ წარმოადგენს მხოლოდ საბჭოურ ცენტრთან ბრძოლით გამოწვეული იძულებით, დროებით ზომებს, არამედ გამომდინარეობს ბლოკი "მრგვალი მაგიდის" ძირითადი ბირთვის პრინციპიალურ პოზიციიდან და იდეოლოგიიდან. ეს იდეოლოგია შემდეგნაირად იყო ჩამოყალიბებული, უმაღლესი საბჭოს წინასაარჩევნო რეგლამენტით გათვალისწინებულ, ტელევიზიით ჯგუფური გამოსვლის დროს თვით "მრგვალი მაგიდის" წევრების მიერ: ჩვენი მიზანია – ქართულ სულს ქართული ჩოხა ჩავაცვათო. გასაგებია, რომ სულის ჩოხაში, ან ნებისმიერ სხვა უნიფორმაში ჩასმა პრაქტიკულად ნიშნავს სხვაგვარად მოაზროვნეების ჩამოცილებას, და ძალიან წააგავს სულების უნიფიცირების იდეოლოგიას. აქ უადგილო არ იქნება გავიხსენოთ, თუ როგორ "ასუფთავებდა" მწერალი-დეპუტატი გ. პეტრიაშვილი ქართულ კულტურას მის ასეთ ბურჯებისაგან, როგორიც არიან კოტე მარჯანიშვილი, ზაქარია ფალიაშვილი, გიორგი ჩუბინიშვილი და სხვანი.

აღნიშნულმა ვითარებამ განაპირობა ის, რომ "მრგვალი მაგიდის" ადმინისტრაციის და ინტელიგენციის მნიშნელოვან ნაწილს შორის თანდათანობით ღრმავდებოდა კონფრონტაცია. ახლა კი უკვე ამ პროცესმა მიაღწია ეროვნული კრიზისის მასშტაბს.

კრიზისი არ უნდა გადაიზარდოს სამოქალაქო ომში (ამ კრიზისში ორივე აქტიურად მოქმედ მოპირდაპირე მხარეს ჰყავს შეიარაღებული რაზმები). მაშასადამე გამოსავალი უნდა მოიძებნოს კომპრომისში, მაგრამ, პოლიტიკური კომპრომისი არ უნდა იყოს მიღწეული ხალხის (ერის მთლიანობაში) ხარჯით. ჩვენის აზრით, ასეთი კომპრომისი შეიძლება მიღწეული იქნას შემდეგი პირობების შესრულებით:

1. ოპოზიციის მოთხოვნის შესახებ, საქართველოში პრეზიდენტის ინსტიტუტის გაუქმებისა და პრეზიდენტ ზ. გამახურდიას გადაყენების თაობაზე. პრეზიდენტის ინსტიტუტს ჩვენ კიდევ შევეხებით ქვემოთ, ახლა კი მხოლოდ ვიტყვით, რომ საპრეზიდენტო მმართველობა ხალხის ჭეშმარიტი პოლიტიკური მიღწევაა, და თუ ხალხმა მას მიაღწია, აღარავის არა აქვს ამ მიღწევის ხელყოფის უფლება. თუ ხალხმა თავის თავზე აიღო თავისი ბედის გადაწყვეტა, ამ ფაქტს ნებისმიერმა სხვა პოლიტიკურმა ძალამ უნდა გაუწიოს ანგარიში.

რაც შეეხება კონკრეტულად პრეზიდენტის პიროვნებას – ბატონ ზვიად გამსახურდიას, იგი ხალხმა დემოკრატიული წესით აირჩია და მისი გადაყენება არავითარ მოგებას ერს არ მოუტონს. აქ პრეზიდენტის მოწინააღმდეგებმა იმედი უნდა დაამყარონ მხოლოდ პრეზიდენტის შემდეგ ვადაზე ხელახალ არჩევნებზე. ამავე დროს შეიძლება დაისვას საკითხი, რომ პრეზიდენტმა ამ პოსტზე ყოფნის დროს შეწყვიტოს ნებისმიერი პარტიის ან პოლიტიკური დაჯგუფების წევრობა, როგორც ეს მიღებულია ახლა რუსეთში და ზოგიერთ სხვა სახელმწიფოში.

2. რაც შეეხება ოპოზიციას, იგი დაკანონებული უნდა იყოს რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში. ჩვენ აქ დემოკრატიული პოლიტიკური სტრუქტურის უპირატესობის მტკიცებას არ დავიწყებთ, მაგრამ ერთს კი ვიტყვით: ხალხში ხშირად არის გავრცელებული აზრი იმის შესახებ, რომ დემოკრატია სჭირდება მხოლოდ ინტელიგენციას – ეს მცდარი შეხედულებაა. ისტორიაში ხშირია მაგალითი, როდესაც ხალხზე ჭეშმარიტად მზრუნველი სახელმწიფოს მმართველი ტოტალიტარულ, ანუ ოპოზიციის არყოფნის პოლიტიკურ პირობებში, ბოლოს და ბოლოს ტოვებს დაუცველ ხალხს თავისივე ფუნქციონერების თვითნებობაზე. როცა ხელისუფლის სიკვდილის შემდეგ ისინი იღებენ ძალაუფლებას, მათ ეხსნებათ ხელები და საზოგადოების მხრიდან ყოველგვარი კონტროლისა და კრიტიკის გარეშე ყოფნის პირობებში მათ ვერავინ უშლის ხელს, რათა ბოროტად გამოიყენონ თავიანთი ყოფილი პატრონის მორალური მემკვიდრეობა. აქ საკმარისია მოვიყვანოთ იოსებ სტალინის და მისი ფუნქციონერების მაგალითი. აი ამიტომ ხალხისათვის სასარგებლო პოლიტიკური სისტემის წყობა უნდა ითვალისწინებდეს არა მხოლოდ აწმყოს, არამედ ახლო და შორეულ მომავალსაც და არ შეიძლება ემყარებოდეს ერთი ადამიანის ავტორიტეტს, რაც არ უნდა დამსახურებული იყოს ეს ადამიანი ხალხის წინაშე.

მაშასადამე, უმაღლესი საბჭო (პარლამენტი), რომელშიც სრულად არ არის წარმოდგენილი ოპოზიცია, არ არის დემოკრატიული და არ არის სრულყოფილი, ამიტომ ისმევა რესპუბლიკის პარლამენტის ახლანდელი შემადგენლობის თვითდაშლის (თვითდათხოვების) საკითხი. საერთოდ, ეს საკითხი თავისთავადაც უნდა ამოტივტივებულიყო იმის შემდეგ, რაც, ერთი მხრიდან, მმართველი საპარლამენტო პარტიის ლიდერი გახდა რესპუბლიკის პრეზიდენტი და, მეორე მხრიდან, მეორე საპარლამენტო პარტია საერთოდ გაუქმდა. ამ შემთხვევაში იქმნება სახელმწიფოს და პარტიის შერწყმის საშიშროება.

3. თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფო საიმედოდ უნდა იყოს დაცული შინაარსლილობისა და ქაოსისაგან და ამავე დროს ტოტალიტარისტულ ხელყოფისაგან. და აქ ჩვენ შეგვიძლია შევქმნათ დემოკრატიის საკუთარი (ჩვენეული) მოდელი ისე, რომ უფრო გაფართოვდება ეროვნული კონსენსუსის ნიადაგი. ჩვენ ვგულისხმობთ ბაგრატიონთა მეფის დინასტიის საქართველოში დაბრუნების საკითხის დემოკრატიულ გადაწყვეტას.

პირველ ყოვლისა უნდა ითქვას, რომ ზემოთქმული სრულიად არ ნიშნავს საქართველოში რომელიმე სახით მონარქიული წყობის აღდგენას. ამ მხრივ საქართველო სწორ გზას ადგას და პოლიტიკურად უნდა ჩამოყალიბდეს როგორც საპრეზიდენტო რესპუბლიკა – თანამედროვეობის ყველაზე დემოკრატიული, დემოკრატიის რთული არსის შემცველი, პოლიტიკური წყობა. აქ ლაპარაკია მხოლოდ ამგვარ წყობაში ამ, ერის და ხალხის წინაშე უდავოდ დამსახურებული, დანასტიის ჩაქსოვებაზე განსაკუთრებუკი ფუნქციის დაკისრებით. ეს, რა თქმა უნდა, არ იქნება მონარქის პრეროგატივის გამომხატველი ფუნქცია, თუმცა ფორმალურად (ანდა შეცვლილი არსის გაგებით) მათ (დინასტიას) შეიძლება დაუბრუნდეს მეფის წოდების მემკვიდრეობით გადაცემის უფლებაც.

რაც შეეხება თავად ფუნქციას – აქ შეიძლება იყოს ლაპარაკი ერთადერთ, ნებისმიერ დემოკრატიულ სტრუქტურაში დიდი მნიშვნელობის მქონე, რესპუბლიკის უმაღლესი (უზენაესი) მოსამართლის ფუნქციაზე; ე. ი. ამ შემთხვევაში

ბაგრატიონთა დინასტიას გადაეცემა რესპუბლიკის უზენაესი მოსამართლის პოსტის დაჭერის პრეროგატივა, ანუ მემკვიდრეობითი უფლება.

ამგვარად, და აქ არსებობს მონარქიიდან დემოკრატიამდე განვითარების ლოგიკა: დინასტიას, რომელსაც ქართველი ხალხი საუკუნეების მანძილზე ანიჭებდა ქვეყნის კანონის გარეშე მართვის პრეროგატივას, ახლა დემოკრატიულ ქვეყანაში ენიჭება მხოლოდ და მხოლოდ კანონების უზენაესობის დაცვის პრეროგატივა.

მაგრამ, ამ შემთხვევაშიც, მთავარი როლი მაინც შენარჩუნებული უნდა ჰქონდეს ხალხს. ეს ნიშნავს იმას, რომ უნდა არსებობდეს კანონი, რომლის მიხედვითაც უმაღლესი მოსამართლის პოსტი დაცული იქნება ამ დინასტიის უღირსი წარმომადგენლისაგან იმ შემთხვევაში, თუ ასეთი დაიკავებს მას. ჩვეულებრივის მსგავსი რეფერენდუმზე გატანის წესით, მაგალითად, ასი ათასი ხელმოწერის შეგროვების პირობით, ამ პოსტის დაკავების უფლების ჩამორთმევის საკითხი უნდა იქნას გატანილი სახალხო რეფერენდუმზე, და თუ რეფერენდუმმა სცნო დინასტიის ამა თუ იმ წარმომადგენლის ამ პოსტთან შეუსაბამლობა, მაშინ პარლამენტის მიერ უნდა იქნას არჩეული ამ თანამდებობის მოვალეობის დროებითი შემსრულებელი პირი. და თუ ასეთი შემთხვევა გამეორდება რამოდენიმეჯერ, შეიძლება, ისევ რეფერენდუმის მეშვეობით, დაისვას ბაგრატიონთა დინასტიის ამ პრეროგატივის (და მაშასადამე მეფის სტატუსის) გაუქმების საკითხი. ასეთი მექანიზმი უნდა იყოს გათვალისწინებული უპასუხისმგებლობის შემთხვევების თავიდან ასაცილებლად. გასაგებია, რომ ასეთი შემთხვევების მთლიანად გამორიცხვა შეუძლებელია, და ამისათვისაც მზად უნდა ვიყოთ. მაგრამ, ასეთნაირი კანონი უნდა გვესმოდეს მხოლოდ და მხოლოდ როგორც შემთხვევითობისაგან თავის დაღწევა; მითუმეტეს, რომ ასეთი დინამიური დამოკიდებულება დინასტიის და ხალხს შორის საჭიროა თვით დინასტიის დეგრადაციისაგან დაზღვევის მიზნით.

საქართველოს მეფის ამგვარი სახით სტატუსის აღდგენას, თავის თავად ცხადია, არ უნდა მოჰყვეს თავად-აზნაურობის სტატუსის ნებისმიერი სახით აღდგენა. ასეთნაირი აქტი ერისათვის აღმოჩნდებოდა დამღუპველი, რამეთუ იქნებოდა შუა საუკუნეებში უკუგდების ტოლფასი.

როდის უნდა განხორციელდეს ეს რეფორმები? ღოგორც ცნობილი გახდა საქართველოს უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის მეორე სხდომაზე თვითდათხოვების საკითხის დასმა არ არის გამორიცხული. თვითდაშლის ვადების დანიშვნა თავად პარლამენტს შეუძლია; მეორე მხრიდან ამ ვადებისა და საერთოდ რეფორმების ვადების საკითხი შეიძლება გადაწყდეს დაპირისპირებული მხარეების დიალოგში. ამავე დროს უნდა ხორციელდებოდეს მასობრივ-საინფორმაციო საშუალებათა გამოყენების წესების დემოკრატიზაცია.

დაბოლოს რამოდენიმე სიტყვა მიმდინარე მოვლენების თაობაზე. სტატიაში ჩვენ არ ვახსენებდით თბილისის 2 სექტემბრის მოვლენებს, და არც ახლა, 21-22 სექტემბრის მოვლენების შემდეგ, ვთვლით საჭიროთ ამ მოვლენების გარჩევის ძირითად ტექსრში შეტანას. თუმცა, როგორც პირველ შემთხვევაში ადმინისტრაციის მცდარ და არასამართლებრივ მოქმედებას, ასევე მეორე შემთხვევაში რადიკალური ოპოზიციის პროვოკაციულ მოქმედებას ჩვენ აქ ვადასტურებთ. ჩვენი სტატიის მიზანია არა მოვლენების, არამედ დაპირისპირების თვით ნიადაგის გამომჟღავნება. რაც შეეხება მოვლენებს (სიტყვამ მოიტანა და ვიტყვით: ხალხმა კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი ნება – პრეზიდენტმა მოიგო 21-22 სექტემბრის პოზიციური ბრძოლა იმიტომ, რომ თავის ადმინისტრაციას კი არ ანდო მისი ბედი, არამედ მიმართა უშუალოდ ხალხს), ისინი სულ უფრო და უფრო გვარწმუნებენ, რომ

თანამედროვე დემოკრატიული ეროვნული სახელმწიფო შენობა უნდა ემყარებოდეს ჩვენს მიერ ზემოდ ნახსენებ "სამ ვეშაპს": უფლებამოსილ პრეზიდენტს, დემოკრატიულ პარლამენტს და დამოუკიდებელ სასამართლოს.

ქ. თბილისი
1991 წლის 10-22 სექტემბერი

შენიშვნა:

სტატია დაიბეჭდა გაზეთ "გრუზია-სპექტრის" («Грузия-спектр») 1991 წ. (30 სექტემბერი – 6 ოქტომბერი) N 21 –ში. მე არ დამაკმაყოფილა რედაქციის მიერ ამ სტატიისადმი მიცემულმა სახემ, რადგან ჩავთვალე, რომ ასეთი რედაქტირებით ამ პუბლიკაციამ დაკარგა თავისი კონსტრუქციულობა ანუ ქმედითუნარიანობა, და მივმართე გაზეთის მთავარ რედაქტორს ღია წერილით. ჩემი საპროტესტო წერილი რედაქციამ დაბეჭდა "გრუზია სპექტრის" 1991 წ. (4-10 ნოემბერი) N 26 –ში. ეს წერილი რედაქციამ გამოაქვეყნა ყოველგვარი ცვლილებების გარეშე და ასევე მოყვანილია აქ, ამ საიტის შემდეგ გვერდზე (იხ. შინაარსი – მე-3 თავი). თავად სტატია (საიტის მე-2 თავი) მოცემულია აქ პირვანდელი ტექსტის სრული შენარჩუნებით უმნიშვნელო ავტორისმიერი სტილისტური რედაქციით.

3. გაზეთ "გრუზია-სპექტრის" მთავარ რედაქტორს (ღია წერილი)

ამ წერილის შინაარსი დაკავშირებულია თქვენი გაზეთის ა.წ. N 21 –ში დაბეჭდილ ჩემს სტატიასთან "როგორ გამოვიდეთ ეროვნულ კრიზისიდან?" (თქვენთან – "როგორ გამოვიდეთ კრიზისიდან?"). უნდა აღინიშნოს, რომ თქვენმა რედაქციამ სასწრაფოდ, ჩაბარებისთანავე დაბეჭდა ეს სტატია, რის გამოც, ვსარგებლობ შემთხვევით და მადლობას გიხდით. ამავე დროს, როგორც ჩანს, ასეთ საჩქარო დაბეჭდვას მოყვა ის, რომ სტატია იყო გამოქვეყნებული მნიშვნელოვანი შემცირებებით და ნაჩქარევი (ავტორთან შეუთანხმებლად) რედაქციით, რამაც დააკარგვინა სტატიას თავისი კონსტრუქციული ხასიათი.

ბატონო რედაქტორო, ჩვენ ვდგავართ ეროვნული კრიზისის ფაქტის წინაშე (მაპატიეთ ჩემს მიერვე დაწერილი სტატიის ციტირება), ე.ი. საქართველო განიცდის ზნეობრივ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ კრიზისს. არსებობს ორი გამოსავალი ასეთი კრიზისებიდან: რეფორმები (უპირველეს ყოვლისა პოლიტიკური რეფორმა) და სამოქალაქო ომი. მაშასადამე, არსებობს ერთადერთი მშვიდობიანი გზა. ეს არის ემპირიულად დამტკიცებული ჭეშმარიტება (მოგეხსენებათ, რეფორმა არის მოქმედება მიმართული სამოქალაქო ომის თავიდან აცილების მიზნით). მოვლენების მიმდინარეობის ასეთი გარდაუვალობის მაგალითს წარმოადგენს 1917 წლის რევოლუციები და სამოქალაქო ომი რუსეთში: როდესაც 1905 წლის რევოლუციის შემდეგ რუსეთმა უარყო რეფორმების გზა, ისტორიამ უპასუხა მას 1917 წლით. ჩვენ მივესალმებით დაპირისპირებული მხარეების ნებისმიერი სახით შერიგებას, მაგრამ

ვფიქრობთ, შერიგება რომ იყოს საიმედო, საჭიროა ისეთი გარანტია, რომელიც გააუქმებს კონფრონტაციის თვით ნიადაგს. ასეთ გარანტიად შეიძლება მოგვევლინოს პოლიტიკური რეფორმა.

რაც შეეხება ჩვენს სტატიას, იქ შემოთავაზებულია ზომიერი და სოციალურად უმტკივნეულო პოლიტიკური რეფორმები საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების მიერ უკვე გატარებული რეფორმების გათვალისწინებით, რომლებსაც შეუძლია მოუტანოს სარგებლობა ეროვნული კონსენსუსის მიღწევის საქმეს. მაგრამ ამისათვის საჭიროა გამოქვეყნდეს ის თავისი კონსტრუქციული სახით.

პატივისცემით ნ. ბარნაბიშვილი

1991 წლის 14 ოქტომბერი

4. სტატია "როგორ გამოვიდეთ ეროვნულ კრიზისიდან?!" მეორე (არშემდგარი) პუბლიკაციის წინათქმა და წინასიტყვაობა

ჩვენ ვთავაზობთ მკითხველს ამ ორიოდე წლის წინ დაწერილ და დაბეჭდილ სტატიას ახლა, რამეთუ იქ დასმული ძირითადი პრობლემების აქტუალობა და სიმწარე ისევ იმ სიმწვავით დგას დღევანდელ საქართველოში. მაშინ მე ვერ დავეთანხმე რედაქციის მიერ გაკეთებულ რედაქტირებას და არც ახლა ვეთანხმები მას.

საქართველოში, არა მხოლოდ პრესაში, არამედ პარლამენტშიც კი (არც პირველში და არც მეორეში – ყოველ შემთხვევაში, საჯაროდ) არ იყო საფუძვლიანად გარჩეული ქვეყნის სახელმწიფო წყობილება. ასეთ წყობილებას პერანგივით არგებდნენ – ჯერ ბ-ნ ზ. გამსახურდიას და მერე ბ-ნ ე. შევარდნაძის ფიგურებს. ჩვენ ყოველთვის გვავიწყდებოდა, რომ სახელმწიფო უნდა ყალიბდებოდეს უფრო ფართო და ხანგრძლივ მოვლენად, ვიდრე ნებისმიერი პიროვნება, და რომ საბოლოო ანგარიშში, მან უნდა წარმოადგინოს ხალხის, მთლიანად საქართველოს ხალხის ინტერესები.

ჩვენს სტატიაში ანაზდად ამოიკითხება ერთი მარტივი აზრი იმის შესახებ, რომ ჩვენ როგორც ერი თვითშეგნებით უნდა გავემიჯნოთ შუა საუკუნეებს, თუ გვინდა შევქმნათ ჭეშმარიტად თანამედროვე სახელმწიფო. საქმე ის არის, რომ არსებობს ერის გამთლიანების ორი გზა – შუასაუკუნეობრივი, ერის ერთი ნაწილის მიერ მეორის მიმართ დამპყრობლური, აშკარად თუ ფარულად აბსოლუტისტური, და მეორე – თანამედროვე, დემოკრატიული თანხმობის გზა. ერი, გამთლიანების მეორე გზას რომ დაადგეს და პოლიტიკურად ცივილიზებულ სტადიაში გადავიდეს, მის სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში უნდა არსებობდეს სამი წახნაგი: საკანონმდებლო ძალაუფლება, აღმასრულებელი ძალაუფლება და სასამართლო ძალაუფლება (საბოლოო ანგარიშში აქ ძალაუფლების რადიკალურ გაყოფა-გამიჯვნაზეა ლაპარაკი.). აი ეს უკანასკნელი, მესამე წახნაგი ქართველ ერს, როგორც პოლიტიკურ მოვლენას ჩანასახშიც კი არ გააჩნია.

ძალაუფლების გაყოფის თეორიასაც რომ დავანებოთ თავი, საღი გონებაც უნდა გვკარნახობდეს, რომ ორი ან მეტი დაპირისპირებულ მხარეებს შორის (და დამოუკიდებლად იმისა, თუ როგორ დავარქმევთ ჩვენ ამ მხარეებს, ასეთ დაპირისპირებულ ნაწილებად დღევანდელი საქართველოს გაყოფას ვერავინ ვერ უარყოფს) ხანგრძლივი და სრულფასიანი შერიგება არ შეიძლება ხდებოდეს რომელიმე მხარის პოზიციიდან გამომდინარე, არამედ – მხოლოდ და მხოლოდ მესამე, მიუკერძოებელი მხარის პოზიციიდან. აქ, რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა და ძირითადათაც იგულისხმევა ერის სოციალური ნაწილების და არა ლიდერების შერიგება, და ეს შერიგება (თანხმობა) მაშინ დაიწყება, როდესაც საზოგადოებაში გაიმარჯვებს მესამე მხარის, ანუ მესამე ძალაუფლების, ყოფნის აუცილებლობის იდეა. მაშასადამე, არა უბრალო შერიგებაზეა ლაპარაკი, არამედ ხანგრძლივი ეროვნული კონსენსუსის (აქ შეიძლება ითქვას – დინამიური თანხმობის) მისაღწევად პოლიტიკური სისტემის შექმნაზე.

1992 წ. 16 დეკემბერი – 1993 წ. 25 იანვარი

წინასიტყვაობა
(წინათქმის გაგრძელება)

შემოთავაზებული სტატია წარმოადგენს დროის ერთგვარ საბუთს, და ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ იგი დაიწერა 1991 წლის სექტემბრის თვეში, ჩვენ გთავაზობთ მას ყოველგვარი ცვლილებების გარეშე უმნიშვნელო შემცირებით. ჩვენი ღრმა რწმენით, სტატია ობიექტურია, როგორც ყოფილი პრეზიდენტის მიმართ, ასევე ყოფილი ოპოზიციის მიმართ. როგორც ნაწინასწარმეტყველებია სტატიაში, არ მოუტანია სარგებლობა ერისათვის პრეზიდენტის ძალისმიერ გადაყენებას. ამნაირი აქციის შედეგი აღმოჩნდა ადამიანთა მსხვერპლი, თბილისის დანგრეული ცენტრი, ჩანგრეული ზნეობრივი ხიდი ხალხის სხვადასხვა ფენებს შორის, დაბოლოს ის სამწუხარო ფაკტი, რომ ლიბანთან და იუგოსლავიასთან ერთად საქართველოც ბარბაროსობის სინონიმად იქცა თანამედროვე პოლიტიკურ ლექსიკონში. ამ მოვლენის მსხვერპლი გახდა საქართველოს პირველი პრეზიდენტი.

ზვიად გამსახურდიამ მისცა საქართველოს ზნეობრივი აღორძინების იმპულსი (ბიძგი), მაგრამ ვერ წაიყვანა ერი განვითარების პროგრესული გზით, რადგან მას თვითონ ჰქონდა სულიერი მიზიდულობის ორიენტირები წარსულში და არა აწმყოსა და მომავალში. და ამგვარი ორიენტირებით გამოწვეული უკუღმართი კულტურული მოძრაობა ჰქმნიდა უკვე ახალ ზნეობრივ დეფიციტს. ცნობილი რეჟისორი რ. სტურუა ამბობს: “კაცმა რომ თქვას, თუ ხელოვნებისადმი მაშინდელ ხელისუფალთა დამოკიდებულებას გავითვალისწინებთ, ამ დარგში მუშაობა, ჩემი აზრით უზნეობაც იყო . . .” (“საქართველოს რესპუბლიკა” 1992 წ, 24 მარტი).

იმის გამო, რომ სტატია თავის პირვანდელი სახით იბეჭდება, მასში, ბუნებრივია, არ არის არეკლილი დღევანდელი პოლიტიკური სიტუაცია (თუმცა ნაწილობრივ ამ ნაკლს ჩვენ ამ წინასიტყვაობით ვავსებთ). მაგრამ სიტუაციები ჩვეულებისამებრ იცვლებიან, ამ სტატიაში კი მთავარი მაინც უცვლელი და აქტუალური რჩება – ეს არის საქართველოში ძალაუფლების დემოკრატიული დაყოფის პოლიტიკური სისტემის შექმნის მცდელობა, რადგანაც ჩვენ მაშინ

ვხედავდით და ახლაც ვხედავთ აქ ერთადერთ გზას, რომელსაც შეუძლია გამოგვიყვანოს ეროვნულ კრიზისიდან.

ამ სტატიის პირველი, რედაქციისმიერი სახით დაბეჭდვის შემდეგ (იხ. "გრუზია-სპექტრი" 1991 წ. N 21), ჩვენ თავს უფლება მივეცით, რათა დაგვესვა საზოგადოების წინაშე საკითხი იმის თაობაზე, რომ იმ კრიზისიდან, რომელშიც იმყოფება საქართველო, არსებობს ერთადერთი მშვიდობიანი გამოსავალი – რეფორმები და კერძოდ, პოლიტიკური რეფორმა (იხ. წერილი "გრუზია-სპექტრის" მთავარი რედაქტორის სახელზე: "გრუზია-სპექტრი" 1991 წ. N 26). სამწუხაროდ, არც სტატიამ (მიუხედავად აღნიშნულ ზემოხსენებულ წერილში სარედაქციო ნაკლოვანებებისა, მასში მთავარ კონტურებში მაინც მთლად არ დაკარგულა ძირითადი აზრი), და არც წერილმა არ მიიპყრო თავის დროზე ჩვენი საზოგადოების ყურადღება.

ჩვენთან გავრცელებულ წარმოდგენებთან განსხვავებით, არჩევნებით გამოხატული ხალხის უმრავლესობის ნება, ანუ სურვილი (ვოტუმი), ჯერ არ ნიშნავს დემოკრატიას თავის სისრულეში, არამედ არის მხოლოდ ერთ-ერთი მისი აუცილებელი შემადგენელი. დემოკრატიის მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვან, შემადგენელს წარმოადგენს სახელმწიფოს პოლიტიკური სტრუქტურა. სტატიაში ჩვენ გვინდოდა მიგვეცა, ცნობილ და ამჟამად მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სახელმწიფო სისტემაში სხვადასხვა სახით მომქმედ, ძალაუფლების გაყოფის თეორიას ქართულ ნიადაგზე დანერგვის იმპულსი. უნდა ითქვას, რომ დეკემბერ-იანვრის ცნობილი მოვლენების შემდეგ ქ. ლონდონში 1992 წლის 7 იანვარს მიცემულ ინტერვიუში საქართველოში საპრეზიდენტო მმართველობისა და ხელისუფლების გაყოფის საჭიროების შესახებ ზოგადად აზრი გამოთქვა ბატონმა ე. შევარდნაძემ (იხ. "საქართველოს რესპუბლიკა" 1992 წ. 10 იანვარი).

რაც შეეხება ჩვენი 1991 წლის სექტემბრის სტატიას, იქ მოცემულია კონსტრუქციული წინადადება იმ საშუალებათა მითითებით, რომლითაც ხსენებული სისტემა უნდა განხორციელდეს, რადგან ეს სისტემა თავის მესამე შემადგენლის – სასამართლოსი – ჭეშმარიტი დამოუკიდებლობის გარანტირების (განაღდების) გარეშე ვერ გაიხარებს. ჩვენის ღრმა რწმენით კი სასამართლოს დამოუკიდებლობის და მაშასადამე, მისი მომქმედ მესამე ძალაუფლებად გადაქცევის გარანტია საქართველოში შეიძლება დავუკავშიროთ მხოლოდ და მხოლოდ ბაგრატიონთა დინასტიას.

ამრიგად, საქართველოს უზენაესი მოსამართლე შეიძლება გახდეს ბაგრატიონთა დინასტიის უფროსი გიორგი ბატონიშვილი, ან მისგან დანიშნული მემკვიდრე ამ პოსტის მემკვიდრეობით გადაცემის უფლებით; ხოლო რაც შეეხება თავად ბატონ გიორგი ბაგრატიონს, მისი 1992 წლის 25 თებერვლის "ღია წერილი ქართველი ხალხისადმი" გვარწმუნებს, რომ ის იქნება ღირსეული პრეტენდენტი, და თავს და, მაშასადამე სასამართლოს, არ გამოაყენებინებს ნებისმიერ პოლიტიკურ დაჯგუფებებს ან კერძო პირებს.

ხსენებული პოსტის ბაგრატიონთა სამეფო გვარის მემკვიდრეობაში გადაცემა კიდევ იმით არის მარგებელი ქვეყნის პოლიტიკური კლიმატისათვის, რომ იმ შემთხვევაში, თუ ქართველმა ხალხმა ვერ შეინარჩუნა დემოკრატიული რესპუბლიკის წყობა, უფრო გააზრებული იქნებოდა კონსტიტუციური მონარქიის წყობაზე გადასვლა (ხალხის ნებით რა თქმა უნდა). ასეთი ფრთხილი მიდგომა ამგვარი პოლიტიკური რეფორმისათვის მითუმეტეს ყურადსაღებია რომ, როგორც სრულად სამართლიანად ამბობს, და ამტკიცებს კიდეც ამას, ბატონი დ.

თუმანიშვილი, ჩვენს საზოგადოებაში თანამედროვე მონარქიებზე თვით მონარქისტებსაც აქვთ უზუსტობებზე დაყრდნობილი წარმოდგენები:

“იქნებ მართლაც არ ღირს ამ უზუსტობებზე ასე ვრცლად ლაპარაკი, მათში ჩვენი საზოგადოებრივი ცნობიერების ერთი მძიმე სენი რომ არ ცნაურდებოდეს – სიტყვების ხმარება მათ საზრისში ჩაუკვირვებლად. ისევ “მონარქიაზე” თუ გავაგრძელებთ საუბარს, ხომ სავსებით ცხადია ამ ცნების სრული ბუნდოვანება ჩვენებურ პუბლიცისტიკასა და აზროვნებაში”. (დ. თუმანიშვილი “ვისია, ვისი სამეფო ტახტი”, “დრონი” 1992 წ. 21 მარტი).

რაც შეეხება ამჟამად კონსენსუსის მიღწევას და ეროვნული კრიზისიდან გამოსვლას, პოლიტიკური ძალიბის კეთილი ნების შემთხვევაში, ჩვენს მიერ შემოთავაზებული სისტემა შეიძლება განხორციელდეს შემდეგი თანამიმდევრობით:

1. პარლამენტის არჩევა; 2. პარლამენტი ადგენს კანონს საქართველოში უზენაესი მოსამართლის პოსტის შემოღებისა და ამ პოსტის ბაგრატიონთა დინასტიის მემკვიდრეობითი მფლობელობის პრეროგატივის შესახებ; 3. უზენაესი მოსამართლე პარლამენტის და ეროვნული დაუმორჩილებლობის წარმომადგენლებთან ერთად ღებულობენ გადაწყვეტილებას საქართველოში პრეზიდენტობის პრობლემის თაობაზე (სტატუსი: ვადების და ძალაუფლების საზღვრები, სრულუფლებიანობა აღნიშნულ საზღვრებში, არჩევნების ატრიბუტები და პრეზიდენტობის კანდიდატების პიროვნებები), იმ პირობით, რომ მხარეების შეუთანხმებლობის შემთხვევაში გადამწყვეტი სიტყვის უფლება ეკუთვნის უზენაეს მოსამართლეს.

დაბოლოს, ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ეს სტატია გვიჩვენებს ერის საკეთილდღეოდ განსაზღვრული წესების შემოტანის აუცილებლობას იმ თამაშში (პოლიტიკაში), რომელიც ძალაუფლებისათვის ბრძოლას წარმოადგენს და რომელმაც ჩვენთან ჩვენი უწესობის გამო სამოქალაქო ომის მდგომარეობამდე მიგვიყვანა.

1992 წლის 28 მარტი

5. აწმყო და მომავალი

აწმყო

როდესაც საქართველოში აწმყოზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება გვერდი აუვაროთ დღევანდელი ცხოვრების სურათებს. იმას, რომ ქვეყანაში დანგრეულია ქალაქები და სოფლები, რომ სამოქალაქო ომში (აფხაზ სეპარატისტებთან ომის ჩათვლით) ადამიანთა მსხვერპლის ანგარიში უკვე ათასებზეა გადასული, რომ ხალხი შიმშილობს და აქა-იქ შიმშილითაც უკვე იხოცებიან. ხელისუფლებამ კი ეკონომიკის სადავეები დაუთმო რეკეტს და კანონიერ და ნახევრადკანონიერ სპეკულაციას და იმედებს ამყარებს მხოლოდ საზღვარგარეთის დახმარებაზე, რომლის შოვნითაც უპირველეს ყოვლისა ეხმარება ისევ ზემოხსენებულ სოციალურ ჯგუფებს. პარლამენტში კი ხალხის გაჭირვებაზე არავინ არ ლაპარაკობს, ყოველ შემთხვევაში – კონსტრუქციულად. თითქოს და არ იციან, რომ ქვეყანაში ეკონომიკა არ შეიქმნება და ხალხი გამათხოვრების გზით ივლის იქამდე, სანამ ფულის “შოვნის” წესები ქვეყანაში ეფუძნება არა ადამიანის შრომას, არამედ ფინანსურ აფერებს, სპეკულაციას და იარაღის ძალას.

აქ არ შეიძლება არ ითქვას რამოდენიმე სიტყვა ხელისუფლების ზოგიერთ მნიშვნელოვან შეცდომაზე. შეცდომა იყო სამთავრობო ჯარის (გვარდია – "მხედრიონის") ჯერ სამეგრელოში და მერე აფხაზეთში შეყვანა. და იმაზე, თუ რა ჯარი იქნა შეყვანილი ამ რეგიონებში მეტყველებს უკვე ოფიციალურად აღიარებული ფაქტები, მაგალითად, საქართველოს მეთაურის კაბინეტში "აფხაზეთის ერთიანობის კომიტეტის" წევრებთან შეხვედრაზე ითქვა ("დრონი", 1993 წ. 22 იანვარი, N 3):

გ. მეშველიანი: "აფხაზეთში შესვლა მოუმზადებლად მოხდა ყოველგვარი სტრატეგიისა და ტაქტიკის გარეშე, ომი ძარცვით დავიწყეთ და არა ბრძოლით."

ე. შევარდნაძე: "მეუბნებიან იმ დროს წინ უნდა წასულიყავით, მაგრამ მაშინ სოხუმი არ უნდა ეძარცვათ სამი-ოთხი დღის განმავლობაში."…

თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ბატონმა ე. შევარდნაძემ ზოგადად, ე.ი. კონკრეტულად პასუხისმგებლობის დაკისრების გარეშე, აღიარა აქ დაშვებული შეცდომები: ". . . უამრავი შეცდომა უკვე დაშვებულია, გაძარცულია სოხუმი, გაგრა" (იქვე). რაც შეეხება ეკონომიკას, მთავრობამ, რომელიც ფაქტობრივად წელიწადზე მეტი მიუძღოდა "წინ" ქვეყანას ამ სფეროში, რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი 1993 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტის პროექტით გააშკარავა, რომ შეიყვანა ქვეყანა ჩიხში. როგორც სამართლიანად აღინიშნა პრესაში, ამ ბიუჯეტის შინაარსში, რომელიც დაგეგმარებულია 70 პროცენტიანი დეფიციტით, იშიფრება "უწყებრივი ინტერესები, რომლებიც რატომღაც სახელმწიფო ინტერესებზე მაღლა დგას და ამ "უწყებრივ კომუნისტურ ლოგიკას" ბევრმა მინისტრმა დაუჭირა მხარი პარლამენტში ბიუჯეტის პროექტის განხილვისას". (მ. კვეკვესკირი "ბიუჯეტი, რომელიც შეძრავს საქართველოს", "7 დღე", 1993 წ. 4-10 თებერვალი).

ამ სურათებს (და ზემოთქმული მხოლოდ და მხოლოდ სურათების ჩამოთვლა იყო) ბევრი სხვა სურათის დამატება შეიძლება, მაგრამ აქ ჩვენ შევეხებით მხოლოდ იმ მოვლენებს, რომლებსაც ჩვენი აზრით შეიძლება ჰქონდეთ მიზეზობრივი კავშირი ქვეყნის მომავალთან.

როდესაც ჩვენ ვაკვირდებით, თუ რა სიძნელეებით მიემართება საქართველო დამოუკიდებლობისაკენ და რამდენი საკუთარი და უცხო წარმოშობის დაბრკოლება შეხვდა მას ამ გზაზე, ვრწმუნდებით, რომ ჩვენ უნდა შევქმნათ თანამედროვე ქვეყნის საკუთარი პოლიტიკური მოდელი, რომელშიც გამოყენებული უნდა იყოს ყველა აქტუალური და პოტენციური საშუალება და შესაძლებლობა, რაც გააჩნია საამისოდ ქართველ ხალხს.

დღევანდელ საქართველოში არსებობს ორი პოლიტიკური ძალა, და თუმცა ეს ორი ძალა ახლა დაპირისპირებულია ერთი მეორის მიმართ ყველანაირად – სიტყვით და იარაღით, საქართველოს დემოკრატიის და სახელმწიფოებრიობის ბედი გადაწყდება მაშინ, როდესაც საბოლოოდ გაირკვევა, შესძლებს თუ არა ეს ორი ძალა ორ ფრთად ქცეული მშვიდობიანად (თუმცა დაპირისპირებულ პოზიციებზე) ე. ი. ცივილიზებულად იცხოვროს ერთ სახელმწიფოში.

ამჟამად "პოზიციას" საქართველოში წარმოადგენს შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალების შედეგად მოსული ხელისუფლება. დღეს იგი განსახიერებულია არჩევნებით უკვე დაკანონებული პარლამენტით და ქვეყნის მეთაურით ბ-ნ ე. შევარდნაძით, რომელსაც კანონით (თუმცა უგარანტიოდ) ხელთ უპყრია აბსოლუტური, როგორც საკანონმდებლო ისე აღმასრულებელი ძალაუფლება. მართალია პარლამენტში არსებობს მრავალრიცხოვანი პარტიებისა და ბლოკების პოზიციების განსხვავება და დაპირისპირებაც კი, მაგრამ ეს დაპირისპირება

ფაქტობრივად ნებისმიერ საკითხში ტრიალებს განსაზღვრული ცენტრის ირგვლივ, და ამრიგად უფრო მოგვაგონებს შინაურულ ალიაქოთს, ვიდრე პოლიტიკურ ოპოზიციას. პარლამენტის პოზიცია-ოპოზიციის საზღვრები შემოფარგლულია რესპუბლიკის მეთაურის ბ-ნ ე. შევარდნაძის აბსოლუტური ავტორიტეტის აღიარებით, რომელსაც პარლამენტში არავითარი სერიოზული ოპოზიცია არა ყავს. და თუმცა მეთაურის ასეთი ავტორიტეტი უსაფუძვლო არ არის, ანგარიშგასაწევია აგრეთვე მისი აღიარება მსოფლიო პოლიტიკურ წრეებში – დემოკრატია უპირველეს ყოვლისა ეყრდნობა პოლიტიკური ფუნქციების გაყოფის პროცედურას და არა რომელიმე პიროვნების ღირსებებს და მის მიერ მიღებულ პოზიციებს.

ამგვარად, შეიქმნა საქართველოში უკვე ცნობილის მსგავსი ვითარება (გავიხსენოთ ბ-ნი ზ. გამსახურდიას პრეზიდენტობის დროინდელი სიტუაცია), როდესაც რეალური ოპოზიცია არსებობს ოფიციალური აღიარების გარეშე და წარმოდგენილია მხოლოდ პრესით, თუ არ გავითვალიწინებთ ზოგიერთი პარლამენტური პარტიის მიერ ახლახან შექმნილ არაპარლამენტურ ოპოზიციურ "ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობის სათათბიროს". ასეთი სიტუაციის საგანგაშოება ალბათ ესმით პარლამენტშიც, მაგრამ იქ შემოთავაზებული საწინააღმდეგო ზომები (შესაბამისი გაზეთების აკრძალვა), დემოკრატიულობის მოთხოვნებსაც რომ დავანებოთ თავი, არსებულ ვითარებაში პრაგმატულობის თვალსაზრისითაც ვერ უძლებს რაიმე კრიტიკას. ოპოზიციური პრესისათვის პირის მოკუპვრა ოპოზიციას კი არ გაანადგურებს, არამედ მხოლოდ გააუჩინარებს მას.

ქვემოთ ჩვენ შევეხებით ზოგიერთ მსოფლმხედველურ პრობლემას, კერძოდ, ეთნიკურ და ეროვნულ თვითშეგნებას და ნაციონალისტურ და კოსმოპოლიტურ მსოფლმხედველობას. ეს პრობლემები, ჩვენის აზრით, მჭიდროდ არიან დაკავშირებული საქართველოს მომავალთან.

ეთნოსური თვითშეგნება ქმნის ერის კონტინუუმის მიმართ ცენტრიდანული ძალების "ველს", და ამ ველის მიმართულება იჩენს თავს განსაკუთრებით ხალხისათვის უიღბლო პერიოდებში. ამიტომაც წარსულში ასეთ პერიოდებში საქართველო ყოველთვის იყო სულიერად და ფიზიკურად დაქსაქსული და დაყოფილი ეთნიკურ სამეფოებათ (ქართლი, კახეთი, იმერეთი და ა. შ.).

მეორე მხრიდან, ქართველებს ყოველთვის, როდესაც ისინი გამოდიოდნენ ისტორიის სარბიელზე როგორც ერი, ჰქონდათ ფართო ეროვნული და არა ეთნიკური თვითშეგნება. საქართველოს ისტორიაში ასეთი პერიოდების თვალსაჩინო მაგალითები ჩვენ გვაქვს მე – V საუკუნეში – მეფე ვახტანგ გორგასლის მეფობის დრო, და მე- XI – XII საუკუნეებში – მეფეების დავით აღმაშენებლის, დემეტრე I, გიორგი III და თამარ-მეფის ეპოქა. ქვეყანაში ფართო ეროვნული (ვიწრო ეთნიკურის საწინააღმდეგოდ) თვითშეგნების და აზროვნების ზეიმობას ამ ეპოქებში ადასტურებენ უდიდესი ეროვნული ლიტერატურული ძეგლები: იაკობ ცურტაველის "წამება წმიდისა შუშანიკისი დედოფლისა" და შოთა რუსთაველის "ვეფხისტყაოსანი".

როგორც ვხედავთ, ხალხის ფართო ეროვნულ თვითშეგნების დამკვიდრებას დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს თანამედროვე ერად ჩამოყალიბებისათვის. ამ თვალსაზრისით არ შეიძლება არ ავღნიშნოთ ის მნიშვნელობა, რომელიც აქვს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ ახალ ცნებას – "საქართველოს ხალხი".

როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ ფართოეროვნულ თვითშეგნებაზე, ვგულისხმობთ ქართული აზროვნების (თვითშეგნების) ორი ძირითადი ტოტის შეუთავსებლობის პრობლემის გადაწყვეტასაც. ჩვენ აქ ვსვამთ საკითხს ქართული

ნაციონალიზმისა და ქართული კოსმოპოლიტიზმის შეთავსებადობის თაობაზე. ალბათ უჩვეულოდ ჟერერს ასეთი სიტყვების, როგორიც არის "ქართული" (ე.ი. ეროვნული, ნაციონალური) და "კოსმოპოლიტიზმი" შეხამება, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ქართული კოსმოპოლიტიზმი არსებობს როგორც ეროვნული მოვლენა. აქ არ არის ადგილი ქართულ აზროვნებაში ამ მოვლენის იდეების გამომხატველების, ან ისტორიულ ასპარეზზე მომქმედ მოღვაწეების აღნუსხვისა. ამ თემაზე შეიძლება არაერთი მონოგრაფია დაიწეროს. რა თქმა უნდა, კოსმოპოლიტიზმი ხანდახან ძვირად უჯდება ხალხს, მაგრამ ნაციონალიზმი, როდესაც ის გონივრულობას კარგავს, უჯდება ხალხს უფრო ძვირად. ამის ბიბლიური დასტური არსებობს: ბიბლიიდან ვიცით, რომ როდესაც ებრაელთა რელიგიის თანამიმდევრებმა (იუდაიზმის რელიგიის მოღვაწე აგრეთვე ნაციონალისტს წარმოადგენს ამ რელიგიის თავისებურებების გამო) უარყვეს თავისი კოსმოპოლიტი თანამემამულე იესო ქრისტე, რომელიც ძველ ისრაელში ქადაგებდა ყველა ხალხისა და ადამიანის თანასწორობას ღმერთის წინაშე, ებრაელი ხალხი განწირული აღმოჩნდა ორი ათას წლიან დამცირებასა და ტანჯვაზე და ძლივს გადაურჩა განადგურებას.

ჩვენ ახლა შევეხებით ბატონ ლ. სანიკიძის პუბლიკაციას "გადმოვასვენოთ, დავასვენოთ და. . . დავისვენოთ" ("საქართველოს რესპუბლიკა" 19.12.92 წ.), რომელშიც იხილება აქ დასმულ პრობლემასთან დაკავშირებული საკითხები. პირველ ყოვლისა ეს არის სტალინის ფენომენთან დაკავშირებული პრობლემა.

თანამედროვე სოციალურ თვითშეგნებაზე სტალინის ფენომენის გავლენა იმდენად დიდია, რომ ვერც ერთი ხალხი და ვერც ერთი ერი ვერ დარჩა ამ გავლენის გარეშე, მითუმეტეს ეს ეხება ქართველ ხალხს. ამიტომ ი. სტალინის შეფასება ჩვენს ეროვნულ თვითშეგნებაში სერიოზულ საკითხს წარმოადგენს და შესაძლებელია სწორედ ამ საკითხზე მჟღავნდება ქართული ნაციონალიზმის გონივრულობის და შორსმჭვრეტელობის ჩარჩოები. ი. სტალინმა აჩვენა მსოფლიოს, რომ კაცობრიობას შეუძლია სხვანაირადაც იცხოვროს ვიდრე ცხოვრობდა საუკუნეების წიაღიდან დაწყებული, და ამაშია კაცობრიობის ისტორიაში სტალინის მოვლენის უნიკალურობა, დამოუკიდებლად იმისა "ბუნებრივია" ის თუ "არაბუნებრივი".

მაგრამ ბ-ნ ლ. სანიკიძესგან განსხვავებით ჩვენ არ ვთვლით, რომ სრულიად ადამეთის გონებიდან ამოგდებული უნდა იქნას სოციალური სამართლიანობის (და არა თანასწორობის, როგორც წერს ავტორი) და კერძოდ სოციალ-დემოკრატიის ზოგადი იდეები. რამეთუ ასეთი "ოპერაცია" გააღარიბებდა კაცობრიობის და მათ შორის ქართველი ხალხის ცნობიერებას და რამოდენიმე საუკუნით დააქვეითებდა სრულიად ადამეთის სოციალურ კულტურას.

ამ ნაწილის დასასრულს ისევ დავუბრუნდეთ საქართველოს და შევნიშნოთ, რომ ზნეობრივ კოსმოპოლიტიზმსა (ცნობილი რომანის გმირის კვაჭი კვაჭანტირაძისნაირ კოსმოპოლიტიზმზე აქ არ არის ლაპარაკი) და გონივრულ ნაციონალიზმს შორის არსებობს რაღაც გაგების ხიდები.

მომავალი

აქვს თუ არა მომავალი საქართველოს როგორც ერს? სტატიის დასაწყისში ჩვენ ვთქვით, რომ – იმისათვის, რომ ერს ჰქონდეს მომავალი უნდა იყოს გამოყენებული

და ამოქმედდეს ყველა შესაძლებლობა და საშუალება (დემოკრატიულ და კეთილშობილურ სახსრებს ვგულისხმობთ) რაც გააჩნია ქართველ ხალხს. აქ არსებობს გამოუყენებელი რეზერვი, რომლის ამოქმედება აუცილებელია.

ჩვენის აზრით საქართველოსათვის არსებობს ერთადერთი გზა მომავალში, ყველა დანარჩენ გზებს მივყავართ ისტორიულ ჩიხში (აკი უკვე შევტოპეთ კიდეც ეგრეთ წოდებული ბანანას რესპუბლიკების "განვითარების" გზის ჭაობში). ეს ერთადერთი გზა არის პოლიტიკური ძალაუფლების ჭეშმარიტი და არა მოჩვენებითი, რადიკალური დაყოფა ქვეყანაში.

საკანონმდებლო და აღმასრულებელი ძალაუფლების საკითხზე ჩვენ ახლა არ გავჩერდებით. ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ არცერთი ამ პოლიტიკური ძალათაგანი თავისთავად არ წარმოადგენს ქვეყანაში დემოკრატიის გარანტს. მითუმეტეს საქართველოში გამოცდილებაც გვიჩვენებს, რომ ეს ორი ძალაუფლება ვერა და ვერ იყოფა ერთი მეორისაგან და ერთიანდება ერთი ლიდერის ხელში. ასე იყო ყოფილი პრეზიდენტის დროს, ასე არის ახლაც. ჩვენი პარლამენტი თავგამოდებით ქმნის საამისოდ კანონებს, თითხნის სახელმწიფოებრიობას.

ამჟამად ბ-ნი ე. შევარდნაძე ნამდვილად წარმოადგენს ყველაზე სოლიდურ პოლიტიკურ ფიგურას საქართველოში, მაგრამ რამდენი წლით არის გამოანგარიშებული საქართველოს მეთაურის პოლიტიკური ფიგურის თარგით გაკეთებული სახელმწიფო – 10-15 წლით?! ასე იქმნება ეფემერული ქართული სახელმწიფოებრიობა. სახელმწიფოებრიობა, რომლის საფუძველში ჩადებული მთელი იდეები ამოიწურება პოლიტიკური მომენტის მოთხოვნებით.

ძალაუფლების გაყოფის (და მაშასადამე, თანამედროვე სახელმწიფოებრიობის ხანგრძლივობის) გარანტი შეიძლება იყოს მხოლოდ და მხოლოდ მესამე ძალაუფლება (რომელიც შეიცავს კონსტიტუციურ სასამართლოსაც). შეიძლება იყოს მეთქი, მაგრამ შეიძლება არც იყოს. იმისათვის, რომ ეს ძალაუფლება გადაიქცეს ნამდვილ (და არა ფიქციურ) ძალაუფლებად, ის უნდა ებაროს ისეთ პიროვნებას, რომელსაც ექნება ქვეყანაში დამოუკიდებელი საზოგადო პოზიცია. საქართველოში ასეთი პიროვნება შეიძლება იყოს მხოლოდ და მხოლოდ ბაგრატიონთა დინასტიის (ე.ი. სამეფო გვარის) წარმომადგენელი.

ამგვარად, ჩვენ შემოგთავაზეთ გადაეცეს ბაგრატიონთა სამეფო გვარს საქართველოს უზენაესი მოსამართლის პოსტის მემკვიდრეობით გადაცემის პრეროგატივა. მაშასადამე, სასამართლო და მხოლოდ სასამართლო საქართველოში ამ მოდელით იქნება მეფის (ახალი გაგებით ე.ი. განსაზღვრულ წილად ფორმალურად ეს წოდება შეიძლება დაუბრუნდეს მას) სამფლობელო. ამ სისტემის სიცოცხლისუნარიანობისათვის ჩვენ გვაქვს გათვალისწინებული ძირითადი მექანიზმიც, რომლის გამოქვეყნება შევეცადეთ ჯერ კიდევ 1991 წლის სექტემბერ-ოქტომბრის პერიოდში.

1993 წლის 12 თებერვალი

შენიშვნა:სტატია დაიბეჭდა გაზეთ "შანსის" 1993 წ. (13–20 აპრილი) N 11-12 (143) დამატებული სათაურით – "საქართველოს უზენაესი მოსამართლის პოსტი – ბაგრატიონთა სამეფო გვარს" და ცოტაოდენი შემცირებით, რამაც არ შეცვალა სტატიის ძირითადი აზრი და ლოგიკა და იყო გაკეთებული ავტორის თანხმობით. გაზეთის ტექსტში იყო დაშვებული ერთი უზუსტობა, რაც არღვევს ერთი წინადადების აზრს, მაგრამ ძირითადად პუბლიკაცია გაკეთებულია კარგ დონეზე. ამ

(ახალ) პუბლიკაციაში აღდგენილია პირვანდელი სათაური და დაბრუნებულია ზოგიერთი, წინა პუბლიკაციაში შემცირებული, ნაწყვეტი.

6. გია აბესაძე და ქართველი ერი

"თავს არ მოიკლავს ქართველი, არა, ის შეიძლება, ბრძოლაში მოკვდეს", – თქვა პოეტმა, ხოლო ეს ნათქვამი გაითავისა საზოგადოების სტანდარტულმა აზროვნებამ და შეიქმნა ქართველის კიდევ ერთი სტანდარტი.

გია აბესაძის თვითდაწვის აქციის წლისთავის წინა დღეებში რომელიღაც რადიოინტერვიუს ბოლოს მივუსწარი: გამომსვლელი ამბობდა, რომ ნებისმიერ სხვა ერში კაცის მიერ ასეთნაირი თავის დაწვა აღაშფოთებდა მთელ ერს, ჩვენთან კი ამ ტრაგედიამ თითქმის შეუმჩნევლად ჩაიარა. სიმართლე იყო. გ. აბესაძის აქცია სტანდარტული აზროვნების წინააღმდეგ იყო მიმართული, ამიტომაც იგი ვერ აღიქვა და არ მიიღო სტანდარტულმა აზროვნებამ. ისე კი, არც ლადო ასათიანი ექვემდებარებოდა ჩვენი ცხოვრების სტანდარტებს, და თვითონაც დაიწვა პოეზიის (მართალია მხოლოდ პოეზიის, მაგრამ მაინც კოცონის) "შუაგულ ცეცხლში გადავარდნილი". ბ-ნ მურმან ლებანიძეს აქვს ერთი, ლადო ასათიანისადმი მიძღვნილი მოგონება – "კრწანისის ყაყაჩოები", სადაც კარგად ჩანს ის აშკარად ცივი, ან, ყოველ შემთხვევაში, გულგრილი დამოკიდებულება, რომელიც იყო ამ პოეტსა და ორმოციან წლებში რუსთაველის "პროსპექტის ბატონ-პატრონად" მოვლენილ, მისი თაობის პოეტებს შორის.

გია აბესაძემ თავი მოიკლა და მაინც ის ბრძოლაში მოკვდა, თუმცა არავის არ ებრძოდა, ალბათ თავის თავის გარდა. მაგრამ, მის საპროტესტო აქციას აქვს მისამართი, ეს მისამართი თავისივე ერშია, და მისი ფენომენი მოითხოვს ერისაგან არასტანდარტულ აზროვნებას.

ჯერ კიდევ ოთხმოციან წლებში (ოფიციალურად გამოვიდა 1990 წელს) ავტორის თვითგამოცემით თბილისში გამოვიდა ბ-ნ კიტა ბუაჩიძის პატრიოტული გრძნობით და კრიტიკული შეხედულებით შექმნილი ესეისტური "შავი წიგნი". მოგვიანებით (1989 წ.), თავის რუსულად დაწერილ წიგნში "ასეთი გრძელზე გრძელი უსტარი ვიქტორ ასტაფიევს", ავტორს, ჰქონდა რა მხედველობაში მწერალ ვ. ასტაფიევის გახმაურებული მოთხრობა საქართველოზე, ამბობდა: ". . . ამნაირ, და კიდევ ბევრ სხვა ჩვენს სნეულებაზე, ჩვენს მიერ – შვიდი წლის წინ – იყო დაწერილი თითქმის მთელი წიგნი. მერწმუნეთ, უფრო მკვეთრი, უფრო მსუსხავი, სულის უფრო მწეწკავი (რასაკვირველია ჩვენი სულის), მაგრამ, ამის გამო ჩემმა თანამემამულეებმა არ დამწვეს, როგორც იან ჰუსი, კოცონზე. . .". არ დაწვეს ნამდვილად, მაგრამ არც ყურად იღეს მაინცდამაინც მისი კრიტიკა – ვერ გახვრიტა მისმა მახვილმა "შავმა წიგნმა" ჩვენი სქელკანიანი ნარცისიზმი. იან ჰუსის კოცონს კი საქართველომ გვერდი ვერ აუარა, ოღონდ ამ კოცონზე თავისივე ნებით ავიდა კაცი და თავი დაიწვა. და მაინც ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ ამ აქციასთან არავითარ კავშირში არა ვართ – გმირმა მთელი ერი დაუკავშირა ამ აქციას, და ვერსად გავექცევით ჩვენს მონაწილეობას.

ადამიანთა უგუნურობა მსხვერპლს მოითხოვს ხოლმე (ასეთია მოლოხი – ადამიანთა სოციალური უგუნურობის ღმერთად ქცეული). გია აბესაძეს სურდა გამხდარიყო უგუნურობის უკანასკნელი მსხვერპლი, ე.ი. სურდა მისი

სიცოცხლის მსხვერპლის ფასად ბოლო მოღებოდა საზოგადოებრივი უგუნურობისადმი მსხვერპლის შეწირვას, და მაშასადამე – თვით მოლოხს საქართველოში. არა მგონია, რომ მას 36 წლის ოჯახიან ექიმს არ ესმოდა, რომ ვერ მიაღწევდა ასეთ მიზანს, რადგან მიუღწეველია იგი ახლა, მაგრამ ის ამით გეზს აძლევდა თავის სამშობლოს.

ჩვენი ცხოვრების ერთ-ერთი ძირითადი სტანდარტი, რომელშიც გია აბესაძე არც პრაქტიკულად და არც თეორიულად არ ეტევა, არის პრაგმატიზმი. პრაქტიკულ პრაგმატიზმს ცხოველისეული ფესვები აქვს საქართველოში, და ამრიგად ეს ჩვენეული მოვლენაა, მაგრამ ფილოსოფიური პრაგმატიზმი, თავის თავად ცხადია, შემოდის ჩვენთან დასავლეთიდან. ახლა იგი ფეხს იკიდებს განსაზღვრულ პოლიტიკურ წრეებში და ამიტომ ჩვენ აქ განვიხილავთ მას უფრო დაწვრილებით. ამას წინათ გაზეთ "შანსში" (13-20 აპრილი 1993 წ.) იყო გამოქვეყნებული მთავარი სახელმწიფო მრჩევლის ბ-ნ ლ. ალფენიძის ინტერვიუ, რომელშიც ის ამბობს, რომ "ჩვენ გვჭირდება კანონის უზენაესობა, სახელმწიფოსა და სამართლის ახალი პოლიტიკური ფილოსოფია, პრაგმატიზმის ფილოსოფია. ჩვენ უნდა ვაშენოთ სამართლებრივი, დემოკრატიული სახელმწიფო. . ."

საქართველოში კანონის უზენაესობისა და სამართლებრივი სახელმწიფოს აშენების აუცილებლობის შესახებ – ჭეშმარიტებაა. მაგრამ, საქმე ის არის – როგორ?! იმისათვის, რომ ასეთი სახელმწიფო აშენდეს, საჭიროა ჩვენს ერში ისტორიულად ჩამოყალიბებული ძირითადათ პოლიტიკური ხასიათის ურთიერთდამოკიდებულება შეიცვალოს სამართლებრივი ურთიერთდამოკიდებულებით. რაც შეეხება პირველს, ჩვენთან არსებული ამ ურთიერთობების ტიპი ჩვენი ცხოვრების ერთ-ერთი ძვალრბილში გამჯდარი სტანდარტია, და ამ სტანდარტის გამოცვლის რეფორმა – ასეთი რეფორმა ეროვნული რევოლუციის ტოლფასი იქნებოდა, რამეთუ შეცვლიდა ჩვენი ცხოვრების მარეგულირებელ საშუალებებს პოლიტიკურიდან სამართლებრივზე – მოითხოვს მძლავრ ბერკეტს. ასეთ ბერკეტად შეიძლება მოგვევლინოს სახელმწიფოში უმაღლესი სასამართლოს და პირველ ყოვლისა უზენაესი მოსამართლის განსაკუთრებული სტატუსი (ასეთი სტატუსის თაობაზე იყო გამოქვეყნებული ჩვენი სტატია – იხ. "შანსი", 13-20 აპრილი, 1993 წ.). თავისი სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, სახელდობრ, ასეთი რეფორმა წარმოადგენს საქართველოში ომის ალტერნატივას.

რაც შეეხება პრაგმატიზმის ფილოსოფიას, მას აქვს თავისი გამართლება ცხოვრებაში. მთავარი ამ ფილოსოფიაში ის არის, რომ ის ქმნის მომენტთან შერწყმის განწყობას. მაგალითად, კინორეჟისორი შეიძლება იყოს საშუალო ნიჭის პატრონი და ბუნდოვნად ჰქონდეს წარმოდგენილი თავისი ფილმის მხატვრული იდეა, ან ბანალური იდეა ჩადოს ფილმში, ანდა სულაც არ ჰქონდეს არავითარი რამდენადმე გააზრებული იდეა, და ამავე დროს შეუძლია შექმნას მაღალპროფესიონალური ფილმი იმდენად, რამდენადაც ის შესძლებს გადაღების ყოველ მონაკვეთზე, ე.ი. ყოველ ცალკეულ მომენტში პროფესიონალურად დახვეწოს კადრი. (ასეთი პროდუქციის მასობრივ მაგალითს წარმოადგენს ამერიკული ვიდეოფილმების ჭარბი უმრავლესობა – არ აგვერიოს იმ მხატვრულ ნაწარმოებში, რომელშიც ყოველ დეტალში მთლიანობის იდეა არის ჩაქსოვილი და ამრიგად იქმნება მთლიანობის ორგანული ერთიანობა, დამოუკიდებლად იმისა, ყალიბდება მთლიანი, ძირითადი იდეა სისტემის დონეზე თუ არა).

მაგრამ, როდესაც ჩვენ გვაქვს საქმე არსებობის ვადის თვალსაზრისით არა ლოკალურ, არამედ განვითარებად მოვლენებთან, პრაგმატიზმის ამ ზემოთ მოყვანილ დადებით ეფექტს უარყოფითად გადაზრდის ტენდენცია უჩნდება. ვთქვათ, ჩვენ გაგვაჩნია შეზღუდული რაოდენობით სამშენებლო მასალა და შეზღუდული სახსრები და გვინდა ავაშენოთ სახლი. პრაგმატულობის თვალსაზრისით სასაცილო იქნება, თუ ჩვენ ასეთი მშენებლობისათვის რაღაც პერსპექტივის იმედით დიდი შენობის პროექტს შევადგენთ, და ამრიგად უფრო ბუნებრივია (პრაქტიკული), თუ საქმეს არ გავაჭიანურებთ და ყოველგვარი პროექტის გარეშე, ანდა სახელდახელოდ მოხაზული ესკიზით ავაშენებთ სათანადო სახლს. მაგრამ, რამოდენიმე წლის შემდეგ ჩვენ კიდევ ვიშოვეთ სამშენებლო მასალა. როგორ გავაგრძელებთ ჩვენ მშენებლობას? მივაშენებთ რამოდენიმე ოთახს უკვე აშენებულ სახლს. შემდგომში თუ კიდევ ვიშოვით მასალას, კიდევ მივაშენებთ, მერე ზევით დავაშენებთ და ასე შემდეგ. დროის განმავლობაში ასეთ, კარგ დონეზე (რამეთუ ჩვენ კარგ ხელოსნებს მოვიყვანთ ჩვენი სახლის ასაშენებლად) გაკეთებულ მიშენებებისაგან აიგება დიდი შენობა. მაგრამ, რადგან ამ შენობას არა აქვს ერთიანი იდეა, და მაშასადამე, ერთიანი კონსტრუქცია, ასეთი შენობა რაც უფრო იზრდება, მით უფრო მალე უახლოვდება დანგრევის ზღვარს. დაბოლოს საკმარისი იქნება ჩვენს შენობაში კიდევ ერთი-ორი ქვის დადება, და მთელი ეს ნაგებობა ჩამოინგრევა კარტის სახლივით.

ასე ინგრეოდა უძლიერესი იმპერიები (და რაღა თქმა უნდა, არა მხოლოდ იმპერიები). ასე დაინგრა საბჭოთა კავშირი, რომლის სახელმწიფოებრივი მოწყობის სათავეში ნ. ხრუშჩოვით დაწყებული ყოველთვის იდგა უკიდურესად პრაგმატული მთავრობა. ასე დაინგრა სხვა ცნობილი იმპერიებიც, მიუხედავად იმისა, რომ პრაგმატულობის თვალსაზრისით მშვენივრად იყვნენ აწყობილნი თავის არსებობის უკანასკნეს საათამდე.

კიდევ ერთი მაგალითი: თუ ამოვალთ პრაგმატიზმის ერთ-ერთ ძირითად დებულებიდან – შემეცნების და გარდაქმნის, ანუ მოქმედების შედეგის, გაიგივების შესახებ, მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის პირველი წლის ბრძოლების შედეგების თანახმად საბოლოოდ ომში გამარჯვებულისათვის ომის მოგება შეუძლებელი იყო. არ იძლევა ასეთი გაიგივება რეალურ შედეგს გრძელვადიანი განვითარებადი მოვლენების მიმართ.

ასეთია კლასიკური პრაგმატიზმის ჭეშმარიტების კრიტერიუმების სივრცე.

პრაგმატიზმის პირველწყაროში, ი. კანტის ფილოსოფიაში პრაქტიკული გონება ეყრდნობა ზოგადსაკაცობრიო პრაქტიკას. ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ კანტის ფილოსოფიაში აზროვნება სუბიექტურია, "მის უკანასკნელ, უმაღლეს განსაზღვრად გვევლინება აბსტრაქტული საყოველთაობა, ფორმალური იგივეობა." (გ.ვ.ფ. ჰეგელი "ფილოსოფიური მეცნიერებათა ენციკლოპედია", § 61). ი. კანტის პრაქტიკულ გონებასთან განსხვავებით, რომელშიც მორალის და რელიგიის საჭიროება, ამრიგად, ორგანულად ამოდიოდა თვით სისტემის არსიდან, პრაგმატიზმის ფილოსოფიაში, რომლის კრიტერიუმები ინდივიდუალურ (დაინტერესებული სუბიექტის) პრაქტიკაში მდებარეობს, ზნეობა ან ნორმატიულად შემოყავთ, როგორც ეს აქვს პრაგმატიზმის ფილოსოფიის ფუძემდებელს ჩ. პირს, ანდა ზნეობა უარყოფილია როგორც ნორმატივი (რომელზედაც აგებულია შუასაუკუნეობრივი ტიპის მორალი) და როგორც პრინციპი (რომელზედაც აგებულია ი. კანტის მორალი); და შემოყვანილია

მხოლოდ გაპოეტიზირებულ არცოდნაზე აგებული რელიგია, როგორც ეს აქვს ამ ფილოსოფიის ინსტრუმენტალიზმის მიმართულების შემქმნელს ჯ. დიუის. ამ უკანასკნელი ტიპის რელიგია ჩვენთვის კარგათ არის ცნობილი, რამეთუ ამგვარ რელიგიას (მართალია კლასობრივი ორიენტირებით) წარმოადგენს მარქსიზმში შექმნილი კომუნისტური რელიგია.

პიროვნების თეორიისათვის პრაგმატიზმს შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელობა იმ საზოგადოების მიმართ, რომელსაც გადალახული აქვს ცხოველური პრაგმატიზმი და დაკარგული ბუნებრივი მექანიზმის სანაცვლოდ სჭირდება მისი ცივილიზირებული შემცვლელი. აქ აღსანიშნავია (და ეს ჯერ ი. კანტმა შენიშნა) ის, რომ პრაგმატული რწმენის, ანუ შემეცნებისა და სინამდვილის გარდაქმნის ინსტრუმენტალური გაიგივების ელემენტი არსებობს ადამიანის ნებისმიერი მოქმედების შემთხვევაში, განსაკუთრებით – უცნობ სიტუაციაში. აღვნიშნოთ აგრეთვე, რომ პრაგმატიზმი გვაძლევს მომქმედ, გარდაუვალ პრინციპს ასეთი თავისთავად განუვითარებადი მოვლენის მიმართ დამოკიდებულებისა, როგორიც არის არსებული ცოდნა (ინტელექტუალური ობიექტების მარაგი), რამეთუ თვით ინსტრუმენტალიზმი ამ შემთხვევაში აცოცხლებს და აძლევს ინსრუმენტად გარდაქმნაში განვითარების საშუალებას ამ მოვლენას.

პრაგმატიზმის განხილვის დასასრულს ჩვენ ისევ დაუბრუნდებით ამამავალ თეზისს და მის დასაზუსტებლად ვიტყვით, რომ გია აბესაძე არ ეტევა ამ მოვლენის ფარგლებში მთელი მისი დადებითი და უარყოფითი ფაქტორების გათვალისწინებით.

საქართველოს სახელმძიფო ახლა სეპარატისტულ ძალებთან ომის სტადიაში იმყოფება. აშკარაა ამ ომში უცხო ძალების ჩარევა და ეთნოკონფლიქტების გამოსაწვევ ნაკვერჩხლებზე თავისი პოლიტიკის ნავთის შესხმა. ჯერ კიდევ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე დანიშვნასთან დაკავშირებით წარმოთქმულ სიტყვაში ბ-მა ა. კოზირევმა შემდეგნაირედ ჩამოაყალიბა თავისი და საერთოდ საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრინციპი სხვა ქვეყნების მიმართ: ჯერ ზეწოლა პოლიტიკური და არაპოლიტიკური (ეკონომიკური, სამხედრო) ხერხებით და მერე ასეთნაირად შეძენილი პოზიციიდან მოლაპარაკება და შეთანხმება. აქ რა გაეწყობა – ეს არის პოლიტიკის რეალობა (და არა მხოლოდ საგარეო პოლიტიკისა). მაგრამ, საქმე ის არის, ჩვენ თვითონ რამდენად ვუწყობთ ხელს ჩვენს საწინააღმდეგო პოლიტიკას, ჩვენ თვითონ რამდენად გავამწვავეთ ეროვნებათაშორისი ურთიერთობები საქართველოში? სამწუხაროდ აქ თავისი როლი ითამაშა ეროვნულ მოძრაობასთან ერთად აღმოცენებულმა და ეროვნულ მოძრაობაში ჩაქსოვილმა, ადამიანური და ეროვნული თვალსაზრისით საეჭვო ღირებულების იდეებმა. ასეთი იდეები არც თუ ისე ბევრი იყო, მაგრამ, გამოირჩეოდა თავისი სიმწვავით, "ეფექტურობით" – საწვავი აღმოჩნდა ეროვნებათაშორისი ნაპერკწლების გასაძლიერებლად. ასეთი საწვავი, მაგალითად, იყო ჩვენთან ერთხანს პოპულარული "მასპინძლების და სტუმრების" იდეა, საქართველოს არაქართველი მოსახლეობისათვის სტუმრების სტატუსის მინიჭებით. ბოლოს და ბოლოს ამ ლოზუნგმა დაგვიტოვა უხერხულობის გრძნობა და გაქრა, მაგრამ, რამდენმა მავნებლურმა სამსახურმა მოუტანა ეროვნულ-გამანთავისუფლებელ მოძრაობას უფრო მეტი ზიანი, შემოიტანა მეტი დაძაბულობა საქართველოს ხალხებს შორის დამოკიდებულებაში ვიდრე ამ "ეროვნულმა" იდეამ (თუმცა ზემოხსენებული სამსახურებიც, რაღა თქმა უნდა, უარს არ იტყოდნენ ასეთ საჩუქარზე)?!

ჩვენ აქ მოვიყვანთ მიუკერძოებელი სპეციალისტის, ირლანდიელი კონფლიქტოლოგის პიტერ ემერსონის სიტყვებს: "ქართველები უნდა დაფიქრდნენ, რატომ არ უნდათ ამ ხალხებს (აფხაზებს და ოსებს – ნ.ბ.) მათთან ცხოვრება, რატომ გაურბიან ისინი საქართველოს და თავს აფარებენ რუსეთს." ("მიმომხილველი", 10 მარტი, 1993 წ.).

ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რომ აქ ხალხებზეა ლაპარაკი და არა ნაციონალისტურ-პოლიტიკურ მოძრაობებზე. რაც შეეხება უკანასკნელს , საქართველოში არ უნდა იყოს დაკანონებული სხვა სახელმწიფოს პოლიტიკური ძალები და ორგანიზაციები, თორემ ეთნოკონფლიქტები აქ არასოდეს არ დამთავრდება.

ა.სოლჟენიცინის თავისივე ხალხის მიმართ "არქიპელაგ გულაგში" ნათქვამი სიტყვებიც მოვიყვანოთ: "სხვებს თუ არ ვუყვარვართ, რუსები, უნდა დაუფიქრდეთ, იქნებ არასწორად ვცხოვრობთ."

იქნებ ჩვენც დაუფიქრდეთ, თავის დროზე "შავმა წიგნმა" თუ არ დაგვაფიქრა, იქნებ გიას თვითდაწვამ დაგვაფიქროს?!

დატოვებულ წერილში გია აბესაძემ ქართველთა შერიგება და საქართველოს აღორძინება დაასახელა თავის აქციის მიზნად. უბრალო შერიგებაზე ლაპარაკი აქ არ იქნებოდა სერიოზული, რამეთუ უპირველეს ყოვლისა ეს უნდა იყოს შერიგება არა პოლიტიკურ ლიდერებს შორის, – არამედ სოციალურ ფენათა და ეთნიკურ ჯგუფთა შერიგება. ჩვენს სტატიაში ისმევა საკითხი შემრიგებლური პოლიტიკური სისტემის შექმნის თაობაზე. ასეთ სისტემად ჩვენ მიგვაჩნია თანამედროვე სამყაროში კარგად ცნობილი და მრავალ დემოკრატიულ ქვეყანაში არსებული ძალაუფლების გაყოფის პოლიტიკური სისტემა, ამ სისტემის მოქმედების ძველთა ძველ ეროვნულ ტრადიციაზე აგებით. სტატიის ზემომოყვანილი დანარჩენი ნაწილის ქვეტექსტი – საქართველოს აღორძინების ზოგი სხვა პრობლემაა. ეს პრობლემები ჩვენ შევეცადეთ დაგვეკავშირებინა გ. აბესაძის საქართველოში უმაგალითო ფენომენის გაშიფვრის მცდელობასთან.

უნიკალური და ფუნდამენტურია გია აბესაძის ღვაწლი ეროვნულ თვითშეგნებაში. მისგან ანთებული ცეცხლი გადაიქცა შუქურად, რომელიც საქართველოს უჩვენებს მიმართულებას გადარჩენისაკენ, მომავლისაკენ.

ქ. თბილისი
1993 წლის 25 ივნისი

შენიშვნა:

სტატია ფართო აუდიტორიისათვის არ არის ცნობილი. იბეჭდება პერველად.

7. მესამე ხელისუფლება, თუ ხელისუფლების დანართი?!

საქართველოს პარლამენტის 1995 წლის ივლის-აგვისტოს სესიებზე მიმდინარეობს გაცხარებული კამათი – დეპუტატები წყვეტენ საქართველოს კონსტიტუციის ბედს. მთავარი მოვლენები ვითარდება კონსტიტუციის ქვაკუთხედის, სახელმწიფოებრიობის სტრუქტურის პრობლემის ირგვლივ, რომელიც – თითქოსდა ცხადია ყველასათვის – უნდა ეყრდნობოდეს ძალაუფლების გაყოფის ნიადაგს. ორატორები (და ორატორების ასეთი რაოდენობა ჯერ არ ყოფილა ჩვენს პარლამენტში) იზიარებენ ორ საწინააღმდეგო იდეას. პრეზიდენტის ძლიერი ხელისუფლების მომხრენი ამტკიცებენ, რომ, საქართველოს ძლიერი მმართველი თუ არ ეყოლება, პარლამენტი გადაიქცევა კლანების ინტერესების საასპარეზოდ, და ამრიგად ქვეყანა პარლამენტიდან გაიხლიჩება. საპირისპიროდ, პარლამენტის ძლიერი ხელისუფლების მომხრენი ამტკიცებენ, რომ ასეთი პრეზიდენტი ან აშკარა დიქტატორად გადაიქცევა, ან ყოფილი ცკ-ს პირველი მდივნის მაგვარ მოვლენად, რომელიც ყველაფერს მართავს და არაფერზე პასუხს არ აგებს. სამწუხაროდ ორივე დაპირისპირებული მხარის წარმომადგენლები სიმართლეს ბრძანებენ. მაშ რაში მდგომარეობს ის მომენტი, რომლის გაუთვალისწინებლობამ მიიყვანა პარლამენტი აზრობრივ ჩიხამდე?

ამ ჩიხის არსი ერთ "უმნიშვნელო" ვითარებაშია, რომელიც აღნიშნა ერთადერთმა დეპუტატმა და რომელიც პარლამენტისათვის მაინც შეუმჩნეველი დარჩა. საქმე ის არის, რომ ძალაუფლების გაყოფის თეორია (ეს ტერმინი ჩვენ უფრო ზუსტად მიგვაჩნია: მართალია, ძალაუფლების გაყოფა ხელისუფლების გამიჯვნასაც გულისხმობს, მაგრამ მეორე პირველის გარეშე ადგილს უტოვებს ფორმალიზმს თვით აზროვნებაშიც კი.) – და პრაქტიკაც ასე თუ ისე მიჰყვება მას – გულისხმობს სამ ხელისუფლებას და არა ორს, რაც შეიძლება ვიფიქროთ საქართველოს პარლამენტის დებატებიდან გამომდინარე. პარლამენტს "დაავიწყდა" სასამართლო ხელისუფლების ფენომენის აუცილებლობა.

იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ პარლამენტი არა ძალაუფლების დაყოფის სტრუქტურის მქონე სახელმწიფოებრიობის შექმნას მიესწრაფვის, არამედ უშუალოდ შეუდგა ხელისუფლების გაყოფა-არგაყოფას. რაიმე სხვა, საზოგადოებრივი ინტერესების თვალსაზრისით უფრო ეფექტური ორგანო, ჩვენმა პრაგმატულმა საზოგადოებამ თავის წიაღიდან ვერ გამოყო. ასეთ ვითარებაში ვინ დაუთმობს ხელისუფლების ნაწილს რაღაც, ძალაუფლების მქონე რანგის სტრუქტურებთან შედარებით, "ქეციან" სასამართლოს, რომელიც არასოდეს არ ყოფილა საქართველოში დამოუკიდებელი და ამჟამადაც არ წარმოადგენს ამ თვალსაზრისით რაიმე ძალას.

მართალია, 8 აგვისტოს პარლამენტის სხდომაზე, აჭარის ხელმძღვანელის საგანგებო (სპეციალური) წარმომადგენლის წინადადებით, მიღებული იქნა სახელმწიფოებრიობის სტრუქტურაში საკონსტიტუციო სასამართლოს შემოტანაც. გარეგნულად თითქოსდა შემოიყვანეს მესამე შემადგენელი ხსენებულ სტრუქტურაში, მაგრამ ასეთი მესამე ხელისუფლება არც სრული და არც დამოუკიდებელი არ იქნება, რამეთუ პარლამენტმა ამის მისაღწევად არც მექანიზმი და არც გარანტია არ შექმნა.

არა, პატივცემულო პარლამენტარებო, ხელისუფლება რეალურად სამად უნდა გაიყოს და არა ორად. და აი მაშინ არ იქნება საშიში ძლიერი პრეზიდენტი, რომელიც ხუთი-ოთხი წლის განმავლობაში ნამდვილი დიქტატორი უნდა იყოს აღმასრულებელ სტრუქტურებში კადრების დანიშვნის სფეროში, და მაშასადამე – საშინაო და საგარეო პოლიტიკაში აქცენტების დასმა-განსაზღვრაში. მაშინ აღარ იქნება პარლამენტის კლანების საასპარეზოდ გადაქცევის საშიშროება, რადგან

პარლამენტი “მხოლოდ” კანონებს შექმნის და გააკონტროლებს მათ შესრულებას (ძალაუნებრივად ალტრუისტული საზოგადოებრივი ძალა გახდება). და მაშინ უმაღლესი სასამართლო იქნება ძალაუფლების უზურპაციის საწინააღმდეგო გარანტი; და იმავე დროს, თუ ჩავთვლით, რომ უზენაესი მოსამართლე ასაკობრივი ცენზის მიხედვით მუდმივად ინიშნება, უმაღლესი სასამართლო გადაიქცევა სახელმწიფოს სტაბილურობის გარანტად.

და ბოლოს ერთი შენიშვნა: ამ სტატიაში და ჩვენს მიერ ადრე გამოქვეყნებულ სტატიებში შემოთავაზებული რეფორმა საქართველოში სასამართლო ხელისუფლების ჩამოყალიბების თაობაზე, გულისხმობს კონსტიტუციაში უკანასკნელის მიღებისთანავე შემოტანას, რათა დაფიქსირდეს სახელმწიფოებრიობის განვითარების გეზი. მაგრამ ამ კონსტიტუციის სრული ამოქმედება შესაძლებელი იქნება განსაზღვრული დროის, მაგალითად ოთხი წლის, შემდეგ. ცხადია – ასეთი რეფორმა მოითხოვს ნიადაგის მომზადებას.

1995 წლის 9 აგვისტო

შენიშვნა:

სტატია დაიბეჭდა გაზეთ “თბილისის” 1995 წ. (24 აგვისტო) N 74 (118573) უმნიშვნელო შემცირებებით. ამჯერად ქვეყნდება სრულად.

აშვებული ერთი უზუსტობა, რაც არღვევს ერთი წინადადების აზრს, მაგრამ ძირითადად პუბლიკაცია გაკეთებულია კარგ დონეზე. ამ (ახალ) პუბლიკაციაში აღდგენილია პირვანდელი სათაური და დაბრუნებულია ზოგიერთი, წინა პუბლიკაციაში შემცირებული, ნაწყვეტი.

8. რატომ ხტუნაობს თბილისის დრო, ანუ დროისა და სივრცითი ექსპერიმენტები საქართველოში

როდესაც 1998 წლის გაზაფხულზე ოფიციალურად გამოცხადდა, რომ 1998 წლის 28 მარტს საქართველოში იცვლება დრო, მოსახლეობამ სწორად ვერ გაიგო, თუ საითკენ იცვლებოდა ეს დრო. უმრავლესობას ეგონა, რომ გადავდივართ ჩვეულებრივად ზაფხულის დროზე. თურმე შემცდარან, პირიქით ყოფილა. 1998 წლის 28 მარტიდან საქართველო გადადიოდა ეგრეთ წოდებულ ზამთრის დროდან, ასე ვთქვათ, უფრო ზამთრის დროზე: ესე იგი საათის ისრები წინ კი არა – ერთი საათით უკან იწეოდა. ასე ჩვენ მივაღწიეთ, მიღებული ტერმინოლოგიით, მოსკოვის დროს.

თუმცა, ასეთი მიღწევა ჩვენ უკვე გვქონდა ერთხელ წარსულში. რამოდენიმე წლის წინ თბილისის (ანუ საქართველოს) დრო უკვე იყო გადაყვანილი მოსკოვის დროზე. მაგრამ, მაშინ, საქართველოს დროის საჭეთმპყრობელების ამ აქციას, პარლამენტის მაშინდელმა წევრმა ბ-ნმა ზ. მურვანიძემ დაუპირისპირა თავისი, გინესის რეკორდების წიგნში შესატანი, აქცია. მოგეხსენებათ, მან ნემსით და ძაფით

ამოიკერა პირი და ასე გამოჩნდა ტელეეკრანებზე. ამ აქციის შემდეგ საქართველოში დრო ისევ გადაინაცვლა წინ მოსკოვის დროსთან შედარებით, მაგრამ ვერ გაჩერდა ჩვეულებრივი დეკრეტული დროს ადგილზე. და მაშინ ჩვენ დავიწყეთ ცხოვრება, ასე ვთქვათ, არაფორმალური (ესე იგი არც დეკრეტული და არც ზოგადად სარტყელებრივი) დროით.

აქ ზედმეტი არ იქნება მოვიყვანოთ შემდეგი ცნობა: ყოფილ საბჭოთა კავშირში დეკრეტული დრო შემოღებული იყო ელექტროენერგიის ეკონომიის მიზნით – ასეთი ხერხით ქვეყანა მაქსიმალურად იყენებს დღის შუქს. (იმათთვის, ვინც ებრძვის ხოლმე ელექტროენერგიის ზედმეტ ხარჯებს და გაფლანგვას ვიტყვით, რომ გაზაფხულზე ასეთ ეფექტს მოგვცემდა საათის ისრის წინ გადაყვანა ზუტად ერთი საათით, არც მეტი და არც ნაკლები). მაგრამ, როგორც ჩანს, საქართველოში ამ რაციონალისტურ მოსაზრებებს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რამეთუ დროის დიდი ექსპერიმენტები ტარდება აქ.

ახლა ვთქვათ სივრცითი ექსპერიმენტის შესახებ. 1998 წლის მარტის ბოლოს, ესე იგი საქართველოს დამოუკიდებლობის დღის (რომელიც, როგორც ცნობილია, ემთხვევა ყოფილი პრეზიდენტის ზ. გამსახურდიას დაბადების დღეს) წინა დღეებში, თბილისში რუსთაველის პროსპექტზე იყო ამოთხრილი დიდი ორმო – ამ დღეებში იქ დაიწყო კანალიზაციის მილის გარემონტება. შემთხვევითია, თუ არ არის შემთხვევითი ამ დღეების თარიღების დამთხვევა, ჩვენთვის მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ამჯერად ჩვენ ვლაპარაკობთ სივრცით (და არა დროის) ექსპერიმენტზე. აქ მთავარი ჩვენთვის ის არის, რომ ამ ფაქტთან დაკავშირებით ქ. თბილისში ნახევარი თვის განმავლობაში გაუქმებული იყო ტროლეიბუსების მარშრუტები: NN 4,6,11 და 8. ესე იგი ამ ხნის განმავლობაში არ მუშაობდნენ თბილისის ძირითადი სატრანსპორტო არტერიები, რომლებიც აკავშირებენ იმ უზარმაზარ საცხოვრებელ მასივებს, რომლებიც მთლიანად საბურთალოს და ნაწილობრივად ვაკის რაიონებს შეადგენენ, მთელს ქალაქთან, ქალაქის ცენტრის ჩათვლით. იმ რაიონების მოსახლეობას მასობრივად მოუხდათ ევლოთ სამუშაო ადგილებში ავტობუსებით და მიკროავტობუსებით, რამაც ფაკტობრივად ნახევარი თვის განმავლობაში სულ ცოტა ორმაგად გააძვირა მგზავრობის ღირებულება და კიდევ ერთი საგანგაშო ნახვრეტი გაუჩინა მოსახლეობის ძირითადი რაოდენობის ისეთაც კატასტროფულად მცირე საოჯახო ბიუჯეტს. თუმცა არც ეს არის მთავარი.

მთავარი მაინც ის არის, რომ რუსთაველის გამზირზე ამოთხრილი ორმო, რა დიდიც არ უნდა ყოფილიყო ის, სულაც არ მოითხოვდა დასახელებული ტრანსპორტის მარშრუტების მთლიანად გაუქმებას. ოთხივე მარშრუტი შეიძლება შენარჩუნებული ყოფილიყო ქალაქის ბოლოებიდან ვერის გზაჯვარედინამდე (ყოფილ ვერის ბაზრამდე), ან, ყოველ შემთხვევაში, გმირთა მოედნამდე. მაგრამ ეს შესაძლებლობა შეუმჩნეველი დარჩა ყველასათვის, ვისაც აბარია სატრანსპორტო პრობლემა ქალაქში, მიუხედავად იმისა, რომ ადრეც, ახლო წარსულში ყოფილა შიმთხვევები, როდესაც ტროლეიბუსები აღნიშნული მარშრუტების მოძრაობის შეფერხების გამო, დადიოდნენ რუსთაველის მოედნამდე. ვერც ტროლეიბუსების სამართველომ, რომელსაც გაჩერებული ჰქონდა ტრანსპორტი და უმუშავრად ჰყავდა მძღოლები და სხვა პერსონალი, ვერ (ან არ) დაინახა ეს გამოსავალი. სდუმდნენ სხვა სახელმწიფო სტრუქტურები; სდუმდა პარლამენტი (მოსახლეობის არჩეული წარმომადგენლები ხომ არიან მანდ); სდუმდა მერია; სდუმდნენ მასობრივი საინფორმაციო საშუალებებიც კი. ასე ერთსულოვნად რატომ სდუმან? იქნებ აქ

ადმინისტრაციის მოსახლეობის მიმართ ჩვეულებრივ უყურადღებობასთან კი არა გვაქვს საქმე, არამედ უფრო ღრმა ჩანაფიქრთან?! ექპერიმენტი ტარდება მაინც.

მკითხველი ალბათ უკვე მიხვდა, რომ ჩვენს სტატიაში ლაპარაკია დროისა და სივრცითი არა ფიზიკურ, არამედ საზოგადოებრივ ექსპერიმენტებზე.

მაგრამ, ზარალი, იტყვით თქვენ? ნახევარი თვე უზარმაზარი სატრანსპორტო საწარმო თავისი მუშახელით და ტექნიკით გაჩერებულია – კაპიტალისტურ ქვეყნებში ასეთი რამ შეიძლება მოხდეს მხოლოდ მძლავრი გაფიცვების დროს. კომპანიები უზარმაზარ ზარალს განიცდიან ასეთ შემთხვევებში, ჩვენთან კი სახელმწიფო თვითონ ქმნის ხელოვნურ გაფიცვას?! თუმცა ამ ქვეყანაზე არაფერი არ ხდება ასეთი, რაშიც ვინმე საკმაოდ მრავლობით რიცხვში არ იყოს დაინტერესებული.

საქმე ის არის, რომ საქართველო სტაბილურად იქცევა იმ ქვეყნად, რომელშიც რომელიღაც სოციალური ჯგუფების ინტერესები დგას მაღლა სახელმწიფოებრივ ინტერესებზე. თუ ჩავთვლით რომ სახელმწიფო გამოხატავს, ან, ყოველ შემთხვევაში, უნდა გამოხატავდეს ხალხის, ერის მთლიანობაში, და არა მის რომელიმე ნაწილის კერძო ინტერესებს, ასეთი ქვეყანა წარმოადგენს არშემდგარ სახელმწიფოს. ასეთი ქვეყნები ბუნებრივ-ეკონომიკურ ბერკეტებს კეთილ თვისებას უკარგავენ, და სოციალური კულტურის ელემენტებსაც კი კარგავენ ხოლმე.

1998 წლის 14 აპრილი

შენიშვნა:

სტატია დაიბეჭდა გაზეთ “დროს” 1998 წ. (11-13 მაისი) N 21 (115) დამახინჯებული სახით, რის გამოც მე მივმართე გაზეთის მთავარ რედაქტორს ღია წერილით. ჩემი საპროტესტო წერილი რედაქციამ გამოაქვეყნა გაზეთ “დროს” 1998 წ. (21-24 მაისი) N 24(118), მაგრამ, ჩემი წერილის ტექსტში, რომელიც ამჯერად დაიბეჭდა თითქმის უშეცდომოდ, მაინც დამახინჯებულია სტატიის სათაური, რომელიც თავად სტატიის პუბლიკაციაში იყო საერთოდ ამოგდებული. როგორც სტატია, ასეც საპროტესტო წერილი ამ საიტში მოთავსებულია თავის ნატურალური (პირვანდელი) სახით. წერილი მოყვანილია საიტის შემდეგ გვერდზე (იხ. შინაარსი – მე-9 თავი).

9. გაზეთ “დროს” მთავარ რედაქტორს
(ღია წერილი)

პატივცემულო რედაქტორო, თქვენი გაზეთის ა.წ. 11-13 მაისის ნომერში (N 21, 1998 წ.) ფოსტის რუბრიკაში იყო დაბეჭდილი ჩემი სტატიის ტექსტი, ამოღებული სათაურით და აქა-იქ ამოგდებული სიტყვებითა და წინადადებებით. ამ სტატიის თქვენეულ პუბლიკაციას მე არ ვეთანხმები. ასეთ პუბლიკაციაზე არამც თუ არ იყო ჩემი თანხმობა, არამედ არავინ არც მეკითხებოდა რაიმე თანხმობას, რის გამოც გთხოვთ დაბეჭდოთ ეს საპროტესტო წერილი ქვემომოყვანილ არგუმენტებთან ერთად თქვენს გაზეთში ცვლილებების შეტანის გარეშე.

ჩემი სტატია “რატომ ხტუნაობს თბილისის დრო, ანუ დროისა და სივრცითი ექსპერიმენტები საქართველოში” მე მოვიტანე გაზეთ “დროს” რედაქციაში 7 მაისს და პირადათ ჩავაბარე მთ. რედაქტორის მოადგილეს. მასთან საუბარში აღვნიშნე, რომ სტატიაში ლაპარაკია სოციალური კულტურის საკითხზე. ჩვენს შორის საუბარი იყო მხოლოდ სტატიაზე როგორც ასეთზე და არავითარ შემთხვევაში რაიმე წერილზე რედაქციის სახელზე. ამის გარდა, თვითონ სტატიის ფორმა, რომელსაც აქვს სათაური, სტილისტურად და შინაარსობრივად დასრულებული ტექსტი და ავტორის სახელი და გვარი (და არავითარ შემთხვევაში არ შეიცავს მიმართვას ვეღაცის სახელზე) გამორიცხავს ამ მხრივ რაიმე გაუგებრობას.

უნდა აღვნიშნო, რომ წერილში ლაპარაკი უფრო მნიშვნელოვანზეა, ვიდრე საავტორო უფლებების დარღვევა, თუმცა არც ეს არის უმნიშვნელო რამ.

პირველ ყოვლისა – რა უფლებით თქვენმა რედაქციამ შეცვალა პუბლიკაციის ხარისხი, მისი ხასიათი – სტატია გადაკეთდა მკითხველის წერილად ავტორის დაუკითხავად და გაუფრთხილებლად.

მეორე – სტატიას აქვს მასთან ორგანულად დაკავშირებული სათაური. თქვენმა რედაქციამ არამც თუ ამოიღო სტატიის სათაური, არამედ შეცვალა იგი დიდი ასოებით დაბეჭდილი თავისი კომენტარით (ან სხვა სათაურით – ისეა დაბეჭდილი ტექსტის თავში, რომ ვერ გაიგებ), რომელსაც არავითარი აზრობრივი კავშირი არა აქვს ტექსთან, რაც თქვენეული პუბლიკაციიდანაც ნათლად ჩანს.

მესამე – ამასთან ერთად სტატიიდან ამოღებულია მთავარი. თქვენეულ ტექსტში სოციალური კულტურის ხსენებაც კი აღარ არის – ე.ი. ამოგდებულია ზუსტოდ ის სიტყვები, რომლებიც გამოხატავენ ჩემი სტატიის დედააზრს, და რაზედაც სპეციალურად მიუთითე მე თქვენს მოადგილეს სტატიის ჩაბარების დროს.

სამწუხაროდ, თქვენეული პუბლიკაცია არამც თუ არ ეწინააღმდეგება სოციალური კულტურის დეფიციტს ჩვენს ქვეყანაში, არამედ თავად ქმნის ასეთი დეფიციტის კიდევ ერთ მაგალითს იმ მაგალითებთან ერთად, რომლებიც მოყვანილი მაქვს მე ჩემს სტატიაში.

ნიკო ბარნაბიშვილი

1998 წლის 14 მაისი

შენიშვნა:

გადავიკითხე ეს წერილი და ვიფიქრე, თუ ხსენებულ რედაქციისათვის გაუგებარი დარჩა, თუ რაზეა ლაპარაკი ზემომოყვანილ სტატიაში, იქნებ მასობრივ მკითხველისთვისაც ძნელი იქნება იმის გაგება, თუ რას ნიშნავს სოციალური კულტურა. და თუ აქ საჭიროა ამ მოვლენის გამომხატველი უფრო მარტივი მაგალითი, მოდით ასეთი მაგალითიც მოვიყვანოთ.

ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროში, როდესაც ხალხი შედარებით კარგად ცხოვრობდა და იმ დიდ ქვეყანაში იყო თავისუფალი მოგზაურობის საშუალება, მოსკოვიდან თბილისში თვითმფრინავების საკმარისად ბევრი რეისი იყო დანიშნული და ბევრი მოქალაქეც მოგზაურობდა ამ და სხვა რეისებითაც. მოსკოვის აეროპორტში, როდესაც მიხვიდოდით იქ თბილისის რეისების რეგისტრაციის დროს, როგორც წესი, დაინახავდით ასეთ სურათს. ყველა სხვა რეისის რეგისტრაცია (ყველა სხვა ქალაქის, მათ შორის კავკასიური რესპუბლიკებისაც საქართველოს გარდა)

ტარდება ყოველგვარი ექსცესების და ემოციების გარეშე, ხალხი მშვიდად დგას რიგში და ნორმალურ ტემპში გადის რეგისტრაციას. მთელს დარბაზში სუფევს წესრიგი, საქართველოს, და, განსაკუთრებულად, თბილისის რეისების რეგისტრაციის გარდა. აეროპორტის დარბაზში რომ შედიხართ, ამ რეისებს ადვილად მიაგნებთ ყოველგვარი რადიომაუწყებლების განცხადებების გარეშე – მიდით პირდაპირ ყველაზე დიდი ხმაურის მიმართულებით, იქ აუცილებლად იქნება თბილისის რეისის რეგისტრაცია. ახლოს რომ მიხვალთ, დაინახავთ თავკომბალა ზედახორას, რომლის მცირეოდენი კუდი წარმოადენს კანონმორჩილ მოქალაქეებს, ყველა დანარჩენი კი თავშია მოქცეული და ბრძოლობს რეისზე მოხვედრისათვის. ყველა ცდილობს აღმოჩნდეს იმ წერტილში სადაც ტარდება რეგისტრაცია, აწვებიან ერთმანეთს, რიგი კი არ ინძრევა (თუმცა, ამასობაში ზოგიერთნი ახერხებენ ურიგოთ ბილეთების გაფორმებას და რეგისტრაციის გავლას). ეს არის მაგალითი სოციალური პროცესისა, რომელიც მოითხოვს სოციალური კულტურის მინიმალურ დონეს.

10. ეროვნული საკითხი

ეროვნული საკითხი, ანუ შინაგანი ეროვნული პოლიტიკა, პოსტსაბჭოურ დროში ხელისუფლებაში მოსულ ეროვნულ ძალებისათვის, ტრადიციულად წარმოადგენს ერთგვარ აქილევსის ქუსლს. სამწუხაროდ, საქართველოში ძალიან ცოტა ვინმეს ესმის, რომ იმპერიად ქცეულ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, თავის სახელმწიფოში ქართველები აღარ წარმოვადგენთ ეროვნულ უმცირესობას და ეროვნული პოლიტიკისათვის პასუხისმგებლობა აწი სახელდობრ ჩვენვე გვაკისრია. ლაპარაკია იმ ემოციებიდან გამომდინარე პოზიციაზე, რომელიც ზ. გამსახურდიას ხელისუფლების დროს დაპირისპირებამდე მიიყვანა ქართველი და არაქართველი მოსახლეობა ქვეყანაში, და რომელსაც მერე ზედ დაედო კონფრონტაცია და შეიარაღებული კონფლიქტი თვით ქართველებს შორის.

უნდა ითქვას, რომ ზვიადიზმიდან ვარდების რევოლუციამდე ეროვნულმა მოძრაობამ გადადგა წინ უზარმაზარი ნაბიჯი. მის სათავეში ახლა დგანან უაღრესად განათლებული და ეროვნული საქმისადმი ერთგული ადამიანები, რაც პრეზიდენტ გამსახურდიას ხელმძღვანელობაში, თავად პრეზიდენტის გარდა იყო იშვიათობა. ეროვნული საკითხის მიმართაც მოხდა მნიშვნელოვანი ძვრა. ჯერ კიდევ შევარდნაძის დროინდელ პარლამენტში, პროგრესული ახალგაზრდების გუნდის ინიციატივით, დაკანონებული იყო ახალი პოლიტიკური (და, ამ შემთხვევაში, ამავე დროს ზნეობრივი) ცნება – "საქართველოს ხალხი". ამას მოყვა ის, რომ პასპორტის ახალ ფორმაში გაუქმდა მოქალაქის ეროვნების ჩაწერის საჭიროება. ასე შეიქმნა საქართველოში ყველა მოქალაქის სწორუფლებიანობის სტატუსი მიუხედავად მისი ეროვნული წარმოშობისა; და ამით გამოეცალა სახელმწიფოებრივი ნიადაგი ყოველგვარ რასიზმს ქვეყანაში. მაგრამ ამით, მიუხედავად თავისი მნიშვნელობისა ეროვნული საკითხისათვის, ეროვნული პრობლემა ჯერ არ იყო მოგვარებული. საქმე ის არის, რომ საქართველოში მოსახლეობის არანაკლებ 30%-ისა რუსულენოვანია, ან რუსულენოვანია საზოგადოებრივ გამოვლენაში (ოჯახში ლაპარაკობენ სხვა, არაქართულ ენაზე, სხვებთან - რუსულად). მაშასადამე, არანაკლებ 30%

მოსახლეობისა ქართულად ვერ ლაპარაკობს – თუნდაც ვერ დაიცავს თავს სასამართლოში და ვერ გამოვა სიტყვით პარლამენტში მაჟორიტარ დეპუტატად არჩევის შემთხვევაში. ამავე დროს ახალი, ნაციონალური ხელისუფლების მაღალი რანგის წარმომადგენლებისაგან შეიძლება მოისმინო, რომ "ყველა ეროვნების მოქალაქე საქართველოში სწორუფლებიანი იქნება, მაგრამ ამისათვის ყველამ უნდა ისწავლოს ქართული ენა". კი არ სწავლობდეს, არამედ ისწავლოს – ე.ი. უნდა იცოდეს.

ერთხელ, ზ. გამსახურდიას ხელისუფლების პერიოდში, ტელევიზიით გამოსვლის დროს, ჩვენმა დიდმა მომღერალმა ზურაბ ანჯაფარიძემ, იმდროინდელი იდეოლოგების განცხადებებზე, რომ საქართველოში ყველამ უნდა ილაპარაკოს მხოლოდ ქართულად, თქვა: რა სჯობია იმას, რომ ყველა კარგად ლაპარაკობდეს ქართულად. მაგრამ, უცბად არაფერი არ ხდება, და ვერ მოხდება ისე, რომ ერთ მშვენიერ დილას ჩვენ უცბად აღმოვაჩენთ, რომ თურმე ყველანი კარგად ვლაპარაკობთ ქართულად.

დიახ, დრო უნდა და მოთმინება, და სიფრთხილეც არ შეგვიშლის ხელს; სხვაგვარად, თუ გავაგრძელებთ ზემომოყვანილ ლოგიკით, ჩვენ ისევ დავიწყებთ თანამედროვე ქართული კულტურის წმენდას მის რუსულენოვან ბურჯებისაგან, როგორც ამას თავის დროზე აკეთებდნენ "მრგვალი მაგიდის" იდეოლოგები. (იხ. ზემოთ – თავი 1-ლი).

რუსული ენის ცოდნა ქართველი ხალხის ერთ-ერთი უდავო სიმდიდრეა, და ქართველები ვხვდებით ამას. ამიტომ არის, რომ ჩვენთან არაოფიციალურად რუსულ ენას თავისთავად აქვს განსაკუთრებული სტატუსი. ასე, ქართულ სკოლებში, როგორც წესი, სწავლობენ ერთდოულად რუსულ ენას და უცხო ენებს (ინგლისურს, გერმანულს ან ფრანგულს). მაგრამ, ეროვნული საკითხის სწორი გადაწყვეტილების თვალსაზრისით, ამ სტატუსმა უნდა მიიღოს რაღაც ოფიციალური სახე. ყოველ შემთხვევაში, საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს უნდა მიეცეს საშუალება დაიცვას თავი სასამართლოში რუსულ ენაზე, თუ მიაჩნია, რომ ამ ენაზე უკეთესად დაიცავს თავს (ამისათვის უნდა შეიქმნას სპეციალური სასამართლოები, სადაც იურისტებისათვის სავალდებულო იქნება ქართულის გარდა, რუსული ენის ცოდნაც). ამის გარდა, საქართველოს მოქალაქეს უნდა ჰქონდეს პარლამენტში რუსულ ენაზე გამოსვლის უფლება. აღვნიშნოთ, რომ ეს უკანასკნელი – აუცილებელი წინაპირობაა საქართველოში ასეთი მტკივნეული პრობლემების დადებითი გადაწყვეტისა, როგორიც არის აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ავტონომიების ფაქტობრივი აღდგენა.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ჩვენი ახალგაზრდა "ბომონდის" წარმომადგენლებთან განსხვავებით, ყველას კი არ შეუძლია ადვილად და სწრაფად ისწავლოს უცხო ენა. მოვიყვანთ ასეთ მაგალითს: ოცდაათიანი წლების გერმანიაში ხელისუფლებაში ფაშისტების მოსვლის შემდეგ, ბევრი გამოჩენილი გერმანელი მეცნიერი, განსაკუთრებით ებრაელური წარმოშობისა, წავიდა ემიგრაციაში აშშ-ში, სადაც მიიღეს ამერიკის მოქალაქეობა. რა თქმა უნდა, ყველამ შემართებით დაიწყო ამერიკის სახელმწიფოებრივი ენის (ინგლისურის) სწავლა. მაგრამ, სამწუხაროდ თითქმის ვერავინ, მათ შორის ვერც ალბერტ აინშტაინმა, ვერ ისწავლა ეს ენა დამაკმაყოფილებლად. შემდგომ ა. აინშტაინი აღიარებდა კიდევაც, რომ გერმანული ენა ერთადერთი ენაა, რომელსაც ის ფლობს თავისუფლად.

ძირითადად ადამიანის პიროვნება ყალიბდება გაჩენიდან სიცოცხლის პირველი ხუთი წლის განმავლობაში, და რაც ჩაიდება ბავშვში ამ ასაკში, შემდგომში, როგორც წესი, მხოლოდ ის შეიძლება თავისუფლად განვითარდეს მის პიროვნებაში.

აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართული ენის ოჯახის გარეშე შესწავლა შეიძლება დაეკისროს მხოლოდ ბავშვებს საბავშვო ბაღიდან დაწყებული 8-16 წლიანი სასწავლო პროგრამით. ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ ვაპირებთ დავაბრალოთ ახალ ადმინისტრაციას უპასუხისმგებლობა ეროვნული საკითხის მიმართ (ჯერ ნაადრევია ამაზე ლაპარაკი), მაგრამ, როდესაც ჩვენ ვცდილობთ გავამარტივოთ და ჩავსვათ გამზადებულ სქემებში ეროვნული პრობლემის გადაწყვეტის საკითხი, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს ცინიზმის კლასიკური, ფ. ნიცშესმიერი განსაზღვრება: ცინიზმი არის სრიალი ჭეშმარიტების ზედაპირზე.

მოგიყვანთ ასეთ მაგალითს. არის თბილისში ერთი ხნიერი კაცი სახელად ვალენტინ გრიგოლის-ძე გონჩაროვი, პროფესიით ტოპოგრაფი. სანამ გავიდოდა პენსიაში, 30 წელიწადი მუშაობდა თბილისის ტოპოგრაფიული ტექნიკუმის პედაგოგად და შემდგომ დირექტორის მოადგილედ სასწავლო ნაწილის დარგში. უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტია, მემკვიდრეობითი ტოპოგრაფი (მამამისიც ტოპოგრაფი იყო და დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდა ამავე ტექნიკუმის პედაგოგად, დირექტორის მოადგილედ, და დირექტორად). მოკლედ რომ ვთქვათ, ჩვენი ეროვნული ტოპოგრაფიული კულტურა ამ გვართან არის დაკავშირებული. ბ-ნმა ვ. გონჩაროვმა დაამუშავა ქართული კარტოგრაფიისათვის სპეციალური ქართული შრიფტები. ეს ნაშრომი, რომელიც იყო მისი არა მხოლოდ მხატვრული ნიჭისა, არამედ ასოების პროპორციებისა და მასშტაბების მათ ურთიერთობაში ზედმიწევნითი ანგარიშების შედეგი, მან შესთავაზა გამოსაქვეყნებლად, რასაც ბევრი მოწინააღმდეგე აღმოუჩნდა. თავიანთი არგუმენტებიც მოჰყავდათ, მაგალითად, ეუბნებოდნენ – როგორ შეიძლება, რომ არაქართველმა შექმნას ქართული შრიფტი; ფულსაც სთავაზობდნენ, რომ სხვისთვის დაეთმო თავისი ნაშრომი. მაგრამ არ დათანხმდა, და შექმნა გამოსაცემად მომზადებული ბრწყინვალედ გაფორმებული თავისი გეოგრაფიულ-ტოპოგრაფიული შრიფტების ალბომი. ეს ალბომი როგორც იქნა ჩასვეს სათანადო პროფილის სახელმწიფო გამომცემლობის გამოცემის გეგმაში. და . . . თხუთმეტ წელიწადზე მეტია არ ბეჭდავენ. მისი შრიფტები უკვე შეყვანილია რომელიღაც კომპიუტერებში, გამოყენებულია გამოცემულ რუკებში, მაგრამ, ანონიმურად, ან, თუ გნებავთ, მეკობრულად და მაინც შეზღუდულად (ყველა ხომ არ კადრულობს ამას). მოგეხსენებათ, რა მნიშვნელობა აქვს ტოპოგრაფიას არა მხოლოდ გეოგრაფიული რუკებისათვის, არამედ სამხედრო კადრების მომზადებისთვისაც. მაგრამ, ვ. გონჩაროვს აქვს ერთი პოლიტიკური ნაკლი – მან არ იცის ქართული ენა, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ვერ ლაპარაკობს ქართულად. და აქ იბადება ერთი საკითხი – შეგვიძლია ჩვენ მას როგორც საქართველოს მოქალაქეს მივანიჭოთ სრულუფლებიანობა, თუ არა (აქვს მას უფლება ილაპარაკოს იმ ენაზე, რომელზედაც შეუძლია ლაპარაკი ზემოთ მითითებულ დაწესებულებებში)?! . . სამწუხაროდ, ჩვენ მას ვეღარ გავცემთ პასუხს ამ კითხვაზე, ვ.გ. გონჩაროვი დაიღუპა 2004 წლის დასაწყისში. მაგრამ, რამდენია ასეთი რუსულენოვანი სპეციალისტი, რომელთა გარეშე საქართველოში ისეთაც შერყეული პროფესიონალური კულტურა დაეცემა რამოდენიმე საფეხურით ძირს?!

მაგრამ მაშინაც, როდესაც ჩვენს ქვეყანაში ყველა კარგად ისწავლის ქართულს, რუსული ენა არ დაკარგავს თავის მნიშვნელობას საქართველოსათვის. დსთ-ს ბაზრებსაც (რომლებიც ჰაერივით სჭირდება ქართულ ეკონომიკას იმისათვის, რომ ჩვენ არ დავრჩეთ გადამყიდველების და მათხოვრების ერად) რომ დავანებოთ თავი, რუსული ენა, რომელიც ქართველმა ხალხმა თავის უმეტეს ნაწილში ისწავლა და შეეგუა ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში, პრაქტიკულად მთელ ქართველ ხალხს

(და არა მხოლოდ მის განსაკუთრებულ, ელიტარულ ნაწილს) აძლევს შესაძლებლობას უშუალოდ, და არა სუროგატის სახით, იყოს დაკავშირებული და გაცნობიერებული მსოფლიო კულტურასთან მთელი მისი სიმდიდრითა და სხვადასხვაობით.

დაბოლოს, საქართველოს პრეზიდენტს ბატონ მ. სააკაშვილს აქვს ხალხთან უშუალო ლაპარაკის განსაკუთრებული ნიჭი. და მას, მის, ქვეყნის გამაჯანსაღებელ, პროხალხურ პოლიტიკაზე დაყრდნობით, შეუძლია აფხაზებთან ან სამხრეთ ოსებთან უშუალო (ტელევიზიის მეშვეობით) დიალოგით სახელმწიფოებრივად გადაჭრას ავტონომიების პრობლემა, როგორც მან ეს გააკეთა საქართველოს მასშტაბით. მაგრამ, ამისათვის თავად პრეზიდენტის პოზიცია ეროვნულ საკითხში უნდა იყოს უზადოდ კორექტული.

2003 წ. დეკემბერი – 2004 წ. იანვარი

11. Конец 1991-го
(Политические заметки)

Конец 1991 года. Перестройка (и это уже очевидно для многих) привела к неожиданным для её вдохновителей результатам. СССР уже бывшая страна, даже по признанию центральных органов информации. Однако империя всё ещё пытается спасти себя. У неё есть президент, центральные, так сказать, органы власти и, что самое главное, есть армия, которая подозревается в подготовке государственного переворота. Есть также и новое название – Союз Суверенных Государств (ССГ), нехватает только союзного договора. Но вот неожиданность – уже и Украина не хочет подписывать Союзный договор. Когда около года назад на съезде Верховного Совета СССР, председатель Верховного Совета Грузии А. Асатиани заявил что Грузия не будет подписывать Союзного договора, съезд ответил гомерическим смехом. Теперь уже не смеются. Вновь избранного президента Украины Л. Кравчука уговаривают. Тот отвечает: «Кравчука уговорить можно – украинский народ не уговоришь». А без Украины и президент России Б. Ельцин не считает Со юз возможным. Причина, надо думать, геополитического характера: ведь тогда в соответствии с теорией мусульманского (точнее, тюрко-мусульманского) геополитизма Союз превратится в очень неудобное для России тюркско-славянское государство. В результате в Минске было объявлено о создании Содружества независимых государств из трёх славянских республик: России, Украины и Белоруссии.

Кстати о Б.Н. Ельцине. После провала путча ГКЧП Ельцин вполне разумно запретил КПСС и наложил руку на союзные ведомства. Но как только коснулся он имперских структур, переродилась и его политика. В определённом смысле он сам стал походить на Горбачёва в своём гекачэпевском окружении (и дело звесь, повидимому, не в одном лишь вице-президенте А. Руцком). Так или иначе заразился Ельцин имперской политикой. И хоть винить одного его в этом очевидно нельзя, невольно возникает вопрос: что это – ошибки президента, его бессилие перед реакцией, или же

врожденный политический порок бывшего партийного функционера, который Б. Ельцин, несмотря на неординарность своей личности, не сумел таки преодолеть?

Помимо прочих своих действий, как-то угроза территориальных претензий к союзным республикам, позиция силы по отношению к Чечено-Ингушетии (ошибочность этих актов Б.Н. Ельцин уже признал), президент закрыл глаза на свой же запрет гражданам РСФСР участвовать в боевых действиях на территории других республик бывшего Союза. Недавно президент Грузии З.К. Гамсахурдиа не без оснований обвинил Союзное руководство (читай: Российскую Федерацию) в том, что оно ведёт необъявленную войну против Грузии в Самачабло, где фактически развязан второй Афганистан (протест президента Грузии направлен в ООН). К сожалению, однако, приходится полагать, что президент России не видит здесь афганского аналога и губительности этой войны прежде всего для самой Российской Федерации. Геополитика – опасная штука!

Сегодня в Москве, в определенном смысле, только один М. Горвачёв пребывает «в мире иллюзий». (А где ещё пребывать президенту иллюзорного государства.) Даже центральные газеты уже критикуют его имперские амбиции. Так, «Известия» пишут: «Спокойно,Михаил Сергеевич, не будем терять головы». Ибо в словах президента, самого демократичного в советской истории, стали вдруг вновь проскакивать имперские нотки, хотя и в виде благожелательных напоминаний о том страшном будущем, которое ждёт всех, кто посмеет отколоться от Союза». И далее, приводя слова Горбачёва: «Распад прозвучал бы приговором тем – а их десятки миллионов, кто живёт вне пределов своих национальных республик...», газета комментирует: «Стоит ли прибегать к аргументам, много раз звучавшим из уст политиков весьма определённого толка, не раз упрекавших демократическую власть в том, что она бросила русскоязычное население... на произвол судьбы. Может, уместнее, имея ввиду необратимость ситуации, добрым словом вспомнить о «русском зарубежье ...» («Известия» № 288 от 5.12.1991 г., А. Плутник «Президент в мире иллюзий»).

И «Независимая газета» уже заковычивает интернационализм Горбачёва: «Кроме того, грузину Шеварднадзе, разумеется, легче принять реальность независимости всех республик, чем «интернационалисту» Горбачёву». («Независимая газета» №156 от 5.12.1991 г., В. Третьяков «Возвращение Шеварднадзе»).

Безусловно, сегодня Э. Шеварднадзе наиболее трезвомыслящий в центре политик. Но так или иначе, всем союзным лидерам свойственна одна общая, от партийного воспитания идущая, закомплексованность на политике. Их усилия направлены на политические изобретения, которые в корне бесплодны, так как суть политических проблем и ключ к их решению сегодня находятся вне политики. Однако, люди, привыкшие делать свою политику в коллективах и на коллективах различных уровней, перестали видеть главное – народ. Но народы, по крайней мере теперь, их видят хорошо; и в отличие от союзных политиков, которые всегда цеплялись за схоластику схемы (будь то марксистские догмы или схемы европейской интеграции), очень удобные с точки зрения списания собственной ответственности, почувствовали главное: страна, которая утеряла нравственную опору не может больше существовать.

Поэтому, вопреки усилиям названных политиков и всей советской элиты в целом, народы не помчались за синей птицей американского капитализма, а пошли по пути нравственного возрождения. Именно с этим и связано стремление республик к

разделению, ведь именно идея отечества позволяет людям серяхнуть с себя тот духовный материализм, в котором в конце концов так безнадежно увяз марксизм, и в который коммунисты втянули народы. Именно эта идея, которая наряду с религией является одной из основ народного идеализма, открывает бывшим советским народам пока всего лишь первую ступень морального здоровья, столь необходимого для истинной (в отличие от догматической) экономики любой (будь то развитая или неразвитая) страна.

Разделение республик, конечно, не может и не должно означать полного отчуждения – у нас есть общие культурные ценности. Республики бывшего СССР, при условии взаимного признания государственности и суверенитета каждой из них, могут создать (и в конце концов придут к этому) Советское содружество наций с определенным центром (наподобие ООН), с единым рынком, достигнутым естественно-экономическим, а не насильственным путём, и с военным союзом, с единым, доведённым до минимума ядерным вооружением (с международным политическим стремлением Содружества к созданию условий для его полного уничтожения), находящимся в руках единого командования, но под полным контролем всех республик.

Что же касается условий приватизации, то здесь нравственность приобретает особое значение. Бессмысленно, более того – пагубно для страны приватизировать недвижимость, когда не приватизируется личность человека. Суть в том, что человек должен стать господином своей личности, со всей вытекающей отсюда нравственной ответственностью за себя.

10 декабря 1991 года

შენიშვნა:

სტატია “1991-ის ბოლო” იყო დაბეჭდილი გაზეთ “გრუზია-სპექტრის” («Грузия- спектр») 1991 წლის (16-22 დეკემბრის) N 32 –ში. სტატია დაწერილია რუსულ ენაზე და ორიენტირებულია უფრო უცხო, საერთაშორისო, ვიდრე ჩვენს ადგილობრივ მკითხველზე. 1991 წლის 10 დეკემბერს მე დავასრულე ეს სტატია და ჩავაბარე პუბლიკაციისათვის გაზეთ “გრუზია-სპექტრის” მთავარ რედაქტორს. თბილისში ამ დროს პრეზიდენტ ზ. გამსახურდიას უპირისპირდებოდა შეიარაღებული ოპოზიცია – გვარდია თავის სარდლის მეთაურობით და პრემიერ-მინისტრი (ორივე მმართველი პარტიის “მრგვალი მაგიდის” ცნობილი წევრები) უღალატეს მას და ჩადგნენ ოპოზიციის სათავეში. ტარდებოდა პარალელური მიტინგები და მწიფდებოდა ამბოხება. ისეთი წინაგრძნობა მქონდა, რომ ამ სტატიით ვემშვიდობები პრეზიდენტს. (მე არასოდეს არ ვყოფილვარ პარტია “მრგვალი მაგიდის” მომხრე, მაგრამ პირადად ზვიად გამსახურდიას ვუთანაგრძნობდი – მან შეასრულა თავისი ოცნება და საქვეყნოდ გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობა როგორც ქვეყნის პირველმა პრეზიდენტმა). უკვე 12 დეკემბერს გახდა ცნობილი, რომ სამი სლავური რესპუბლიკის მეთაურთა – რუსეთის (ბ. ელცინი), უკრაინის (ა. კრავჩუკი) და ბელორუსიის (ს. შუშკევიჩი) – შეხვედრის შედეგად შეიქმნა “დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა”. ამ თანამეგობრობის შექმნა, რომელიც შემდგომ გადაიქცა საკმარისად სტაბილურ

პოლიტიკურ წარმონაქმნად დსთ-ს სახელწოდებით, ნიშნავდა საბჭოთა კავშირის როგორც სახელმწიფოს არსებობის დასასრულს.

ამ ცნობით იყო გამოწვეული სტატიაში ამის შესახებ დამატებითი ინფორმაციის შემოტანა, რაც განსაზღვრულ წილად არღვევდა სტატიაში მოვლენების თანამიმდევრობას, მაგრამ მაინცდამაინც არ აფუჭებდა მას. გამოქვეყნების წინ მე გავეცანი სტატიის რედაქციას, და ასე თუ ისე მივედით შეთანხმებამდე. მაგრამ, როდესაც 20 დეკემბერს "გრუზია-სპექტრი" გამოვიდა გაყიდვაში, აღმოჩნდა, რომ რედაქციამ ჩემთან შეუთანხმებლად შეცვალა პუბლიკაციის სათაური და სტატიას დაერქვა "რა მოიტანა 1991 წელმა" ("Что принес 1991 год"). საქმე ის არის, რომ სტატია იყო მიძღვნილი საბჭოთა კავშირის ფაქტობრივ დაშლისადმი და, რედაქციაში ჩაბარების შემდეგ, მას დაემთხვა ცხელ-ცხელი ცნობა ამ ქვეყნის ოფიციალური დაშლის შესახებ, რაც არამც თუ არ იყო საგანგაშო, არამედ პირიქით, ჩემთვის როგორც ავტორისთვის იყო მისასალმებელი. მაგრამ, საქართველოში შექმნილი სიტუაციის მთელი განგაში ჩადებული იყო მის სათაურში. სათაური არ იყო საზეიმო, არამედ იყო საგანგაშო: წლის ბოლო ჯერ არ ნიშნავდა დასასრულს, რამეთუ ბოლოში კიდევ შეიძლებოდა რაიმე მომხდარიყო, თუმცა მთავარი აქ იყო არა წლის, არამედ დაპირისპირების განვითარების დაბოლოება – ეს ქვეტექსტი უნდა წაკითხულიყო სტატიის სათაურში. ამიტომ რედაქციისმიერი სათაურით სტატიას ეცვლებოდა სახე. ამის თაობაზე რედაქტორთან ლაპარაკი ვაღარ მოვასწარი: გაზეთის ამ ნომრის გამოსვლის შემდეგ მეორე დღეს დაიწყო პუტჩი. შეიარაღებული ამბოხება პრეზიდენტის წინააღმდეგ "მრგვალი მაგიდიდან" დაიწყო.

პუტჩის დაჩქარების მიზეზი უნებურად აღმოჩნდა რამოდენიმე თვით ადრე დანიშნული პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე (წასულის მაგივრად) მემკვიდრეობითი ეკონომისტი და ცივილიზებული (ე.ი. პატიოსანი) ბიზნესმენი ბატონი ბესარიონ გუგუშვილი. საქმე ის არის, რომ პრეზიდენტის მტრები ჯერ არ ჩქარობდნენ და ელოდებოდნენ მისი ხელისუფლების დამხობას სასტიკი ეკონომიკური კრიზისის გამო, რომელიც უკვე არყევდა ქვეყანას ისევე, როგორც მთელს საბჭოთა კავშირს. მაგრამ, ახალმა პრემიერმა დაწყებიდანვე შესძლო კრიზისის განვითარების დამუხრუჭება. ის გადაეღობა მსხვილი სახელმწიფო ქონების პრივატიზირებას – და, როგორც გვიჩვენა საქართველოს შემდგომმა ისტორიამ, სავსებით მართალი იყო, რამეთუ მაშინ პრივატიზაცია საქართველოში კრიმინალიზაციას ნიშნავდა მაშინდელი შევარდნაძისეული ელიტის (თავის დროზე ე. შევარდნაძის მიერ ჩამოყალიბებული ელიტარული შრის) მენტალიტეტის გამო, – და შეუდგა წესრიგის დამყარებას ეკონომიკასა და მეურნეობაში. და გაჩნდა იმედი, რომ საქართველო გამოვიდოდა კრიზისიდან. მაგრამ, ვინ აცალა?! დაიწყო ქვეყნის სამხედრო-კრიმინალური დაპყრობა.

1991 წლის 22 დეკემბერს განდგომილი გვარდიის მეთაურმა თ. კიტოვანმა თავისი ნაწილები გადმოიყვანა შავნაბადას მთიდან, (მან რამოდენიმე თვის წინ იქ დააბანაკა ეს ნაწილები პრეზიდენტის ნების წინააღმდეგ), რუსთაველის პროსპექტზე და ალყა შემოარტყა საქართველოს პარლამენტის შენობას, სადაც იმყოფებოდნენ რესპუბლიკის პრეზიდენტი, პარლამენტი, მთავრობა და აგრეთვე პრეზიდენტის ერთგული სამხედრო ნაწილები. პარლამენტის წინ, რუსთაველზე ქვევიდან ამოსასვლელ ქუჩებზე მან მოათავსა ქვემეხები და გაუხსნა ცეცხლი პარლამენტს – ზარბაზნებითა და საზენიტო ქვემეხებით შეუდგა შენობის ფასადების ახლო მანძილიდან დაცხრილვას. იქვე მყოფი ჯარისკაცები ისროდნენ ავტომატურ იარაღიდან აგრეთვე პარლამენტის მიმართულებით. პარლამენტიდანაც დაიწყეს

ავტომატებითა და თოფებით სროლა. შემდგომში მოერიშეებს შეუერთდნენ არაფორმალური შეიარაღებული რაზმები, მეამბოხეების მიერ ორთაჭალის ციხიდან გამოშვებული ცნობილი კრიმინალური და პოლიტიკური მოღვაწის (ამ სიტყვის ფართო გაგებით) ჯ. იოსელიანის მეთაურობით. ალყა საკმარისად დიდხანს გრძელდებოდა, მეამბოხეებმა პარლამენტი შტურმით ვერ აიღეს. უნდა ითქვას, რომ ალყაშემორტყმული მეომრები, მეტწილად ახალწვეული ბიჭები კარგად იბრძოდნენ, და იანვარში უკვე იქით შეუტიეს მეამბოხეებს, განდევნეს ისინი რუსთაველის პროსპექტიდან და გადაიტანეს ბრძოლა ქალაქის ცენტრიდან მტკვრის სანაპიროზე. მაგრამ, მაშინ თბილისში გამოჩნდა ნიღბიანი შეიარაღებული ხალხი: ზოგი საჩვენებლად (ქართულად ხმამაღლა ლაპარაკობდნენ), ზოგი კი საქმის გასაკეთებლად (ისინი მხოლოდ ჩურჩულებდნენ). მერე გახდა ცნობილი, რომ უკანასკნელნი იყვნენ, აზერბაიჯანში განლაგებული სადესანტო ნაწილების “ღამურას” («Летучая мышь») რაზმები. ეს ნაწილები შექმნეს და მოამზადეს თავის დროზე ავღანისტანში ბრძოლებისათვის, მაგრამ, ვერ მოასწრეს იქ ბრძოლა ომის “ნაადრევად” დამთავრების გამო, და საბჭოთა სარდლობამ გამოიყენა ისინი საქართველოში. იმათმა დასვეს სნაიპერები ქალაქის დომინანტურ წერტილებში და მათი საფარველის ქვეშ დაიწყეს საომარი ოპერაცია, რომელიც დასრულდა პრეზიდენტის ჯარის უკუგდებით. 1992 წლის 2 იანვარს ოპოზიციამ ტელევიზიის საშუალებით გამოაცხადა პრეზიდენტ ზ. გამსახურდიას გადაყენების შესახებ. მალე პრეზიდენტი იძულებული გახდა დაეტოვებინა ქვეყანა. თბილისში ხვრეტდნენ დემონსტაციებსა და მიტინგებს, იარაღის ძალით იმორჩილებდნენ ხალხს, ამზადებდნენ კრიმინალურ კაპიტალიზმთან შესაგუებლად. ასე დაიწყო სამოქალაქო ომი საქართველოში.

12. ბოლოთქმა

აქ ჩვენ დავიწყებთ პოლიტიკისა და ფილოსოფიის გადაკვეთის იმ მაგალითით, რომელიც მოგვცა საქართველოს უახლესმა ისტორიამ, და შევეცდებით გამოვიტანოთ აქედან საზრისი.

1993 წელს გაზეთ “შანსის” 13-20 აპრილის ნომერში (იხ. აქ, თავი 5) მე დავწერე: ამჟამად ბ-ნი ე. შევარდნაძე ნამდვილად წარმოადგენს ყველაზე სოლიდურ პოლიტიკურ ფიგურას საქართველოში, მაგრამ რამდენი წლით არის გამოანგარიშებული საქართველოს მეთაურის პოლიტიკური ფიგურის თარგით გაკეთებული სახელმწიფო – 10-15 წლით?! ასე იქმნება ეფემერული ქართული სახელმწიფოებრიობა. სახელმწიფოებრიობა, რომლის საფუძველში ჩადებული მთელი იდეები ამოიწურება პოლიტიკური მომენტის მოთხოვნებით.

ბ-ნი ე. შევარდნაძე ჩამობრძანდა საქართველოში და დაიკავა საქართველოს რესპუბლიკის მეთაურის პოსტი 1992 წელს. გადადგა 2003 წელს მისი და მისი ელიტის მიერ შექმნილ “სახელმწიფოს” საპნის ბუშტივით გასკდომის გამო. ეს რაც შეეხება პოლიტიკას.

ახლა, რა კავშირში არის ეს პოლიტიკა შევარდნაძისეული საზოგადოების ფილოსოფიასთან (ცნობილია, რომ ეს არის პრაგმატიზმის ფილოსოფია - იხ. აქ, თავი

6). 1993 წელს სტატიაში “გია აბესაძე და ქართველი ერი” (იხ. თავი 6), განხილულია რა, ნაგებობის აგების მაგალითზე, პრაგმატული მიდგომა სახელმწიფოს მშენებლობასთან, ჩემს მიერ კეთდება ასეთი დასკვნა: და ბოლოს საკმარისი იქნება ჩვენს შენობაში კიდევ ერთი-ორი ქვის დადება, და მთელი ეს ნაგებობა ჩამოინგრევა კარტის სახლივით. ასე ინგრეოდა უძლიერესი იმპერიები (და რაღა თქმა უნდა არა მხოლოდ იმპერიები). ასე დაინგრა საბჭოთა კავშირი, რომლის სახელმწიფოებრივი მოწყობის სათავეში ნ. ხრუშჩოვით დაწყებული ყოველთვის იდგა უკიდურესად პრაგმატული მთავრობა. ასე დაინგრა სხვა ცნობილი იმპერიებიც, მიუხედავათ იმისა, რომ პრაგმატულობის თვალსაზრისით მშვენივრად იყვნენ აწყობილნი თავის არსებობის უკანასკნელ სათამდე.

მე უნდა მოვიხადო ბოდიში მკითხველის წინაშე ჩემივე სტატიების ციტირების გამო. მაგრამ, ეს იყო უმოკლესი გზა იმისათვის, რომ გვეჩვენებინა პოლიტიკისა და ფილოსოფიის რთული და არაერთგვაროვანი, მაგრამ ამავე დროს, შინაგნად განპირობებული კავშირი. საქმე ის არის, რომ ხსენებული გადაკვეთის კანონზომიერების გარდაუვალობა ამ სტატიებში განსაზღვრულია მნიშვნელოვნად ადრე, ვიდრე მოხდებოდა ეს გადაკვეთა.

სახელმწიფოს შექმნა – ხანგრძლივი განვითარებადი მოვლენაა. ამავე დროს პრაგმატიზმის აზროვნების ყაიდა, ანუ ფილოსოფია, მხოლოდ და მხოლოდ ნიღბავდა პრაგმატული მიდგომით გამოწვეულ დამანგრეველ პროცესებს. და აჰა, აღსრულდა, დაინგრა კარტის სახლივით შევარდნაძის სახელმწიფო.

უნდა ვთქვა, რომ მე სულაც არ ვაპირებ წარმოვადგინო პრაგმატიზმი ნეგატიური ფილოსოფიის სახით. ზემომოყვანილ სტატიაში ჩვენს მიერ გაკეთებულია პრაგმატიზმის ფილოსოფიური ანალიზი, სადაც ჩანს პრაგმატიზმის ფილოსოფიის როგორც უარყოფითი მხარე, აგრეთვე დადებითი მხარეებიც და მისი სარგებლობა პრაქტიკაში (ცხოვრებაში). მაგრამ, პრაგმატიზმით არ უნდა ინიღბებოდეს დამანგრეველი საზოგადოებრივი პროცესები და პირველ ყოვლისა კორუფცია, როგორც ეს ხდებოდა შევარდნაძის დროინდელ საქართველოში. ყველასათვის ცნობილია საბჭოურ პერიოდში ქვეყანაში ფულის შემოტანის ასეთი მეთოდები, როგორც ცენტრალურ ორგანოებში ქ. მოსკოვში, ან სხვაგან სამშენებლო პროექტირების ობიექტებზე დაკვეთების ჩაწყობა, პროექტირების ღირებულების 30 – 50%-ის უკან დაბრუნებით (ქრთამის სახით). დამოუკიდებლობის მიღწევის შემდეგ ეს მეთოდი დაიხვეწა უცხოურ კრედიტებზე. უმეტეს შემთხვევებში კრედიტები იდებოდა ორივე მხარის ჩინოსნების ჯიბეებში, მაგრამ, ფორმალურად, ესე იგი ქაღალდზე, ფორმდებოდა ამ კრედიტებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულება. ასეთი ოპერაციები ტრიალებდა ნებისმიერ დარგში, სადაც მთავრობიდან დაინტერესებული პირების ჩაწყობით ღებულობდნენ კრედიტებს. აქ ალბათ არ არის საჭირო იმის კომენტარი, თუ რატომ იყო ასეთი “სახელმწიფოებრივი” აზროვნება ქვეყნისათვის დამანგრეველი.

მაგრამ, პრაგმატიზმის, მის არსში ჩაუწვდომლად, გამოყენების საფრთხე არ განისაზღვრება მხოლოდ კორუფციის “დარგით” (აქ ბრჭყალების გახსნაც შეიძლება, მაგალითად, როგორც ასეთ ანეკდოტში: ერთ გაქნილ კაცს ჰკითხეს – “რა დარგში მუშაობ?” “კორუფციის დარგში“ – უპასუხა მან). პრაგმატულ შევარდნაძისეულ ელიტას ახასიათებდა ტვინის სიზარმაცე ყველაფერში (მათ შორის ეკონომიკაშიც), რაც სცილდებოდა კორუფციის დარგის საზღვრებს. ქართულ ეკონომიკაში როგორც წესი მექანიკურად შემოჰქონდათ უცხოური სქემები, კონსულტანტებად იწვევდენ (აქ ასეთაც შეიძლება ითქვას – პატიჟებდნენ) უცხოელ ეკონომისტებს – სინამდვილეში

კი იზღვევდნენ თავს, იშორებდნენ პასუხისმგებლობას. აქაც რეზულტატი “სახეზეა”, კომენტარიც არ არის საჭირო.

დიდმა ამერიკელმა არქიტექტორმა ფენკ ლ. რაიტმა დაადგინა არქიტექტურაში და საერთოდ სოციალური აღმშენებლობის დარგებში ორგანულობის პრინციპი. ამ პრინციპის მიხედვით ყველანაირი ქმნილება (და ეკონომიკას ჩვენ ვქმნით) უნდა იქმნებოდეს, ვითარდებოდეს თავისივე ფუძიდან. პირველ ყოვლისა, ამ ფუძის გამოვლენა არის ჩვენივე აზროვნებაში, და თუ ჩვენს აზროვნებაში არის ისეთი რამ, რაც არ გვაძლევს ამა თუ იმ აღმშენებლობითი დარგის განვითარების საშუალებას, ის უნდა შეიცვალოს თვით აზროვნებაში. ეს უკეთესია ვიდრე მთლად გადაუსვათ ხაზი საკუთარ აზროვნებას და შევცვალოთ იგი უცხოური სქემებით. განსაკუთრებით ეს ეხება ეკონომიკას, მითუმეტეს ეკონომიკას გლობალიზაციის პირობებში.

ცივილიზაცია არის სიზუსტე, და პირველ ყოვლისა – სიზუსტე აზროვნებაში. ეს სულაც არ ნიშნავს ეგრეთ წოდებული ზუსტი მეცნიერებების აბსოლუტიზირებას, რამეთუ მოღვაწეობის ნებისმიერ სფეროს აქვს თავისი სიზუსტე.

ეკონომიკის ცივილიზებულობასაც რომ დავანებოთ თავი, ქართული ეკონომიკის კულტურაზედაც, თავის პრაქტიკულ გამოვლენაში, ლაპარაკი უხერხულია. მაგრამ ეს მოდის არა მხოლოდ კორუფციისაგან, არამედ თვით ჩვენი აზროვნებისგანაც. მაგალითებსაც მოვიყვანთ. ცნობილია, რამდენად ვეებერთელაა ქართული ზეპირი ანგარიში, მაგალითად, ჩვენ ვწერთ 57 ე.ი. (5x10 +7) და ვლაპარაკობთ ორმოცდაჩვიდმეტს ე.ი. (2x20+17) და ასე შემდეგ. მართალია, ანგარიშის ასეთ შეუსაბამობას ჩვენ ვგრძნობთ მხოლოდ ბავშვობაში, როდესაც სახლში თუ სკოლაში პირველად ვიწყებთ მათემატიკის სწავლას; მერე კი ვეჩვევით მას – ეს შეუსაბამობა გადადის ჩვენს ქვეცნობიერებაში და იქცევა ჩვენი ხასიათის შემადგენელ ნაწილად.

კიდევ ერთ მაგალითს მოვიყვანთ. მე-10 თავში ჩვენ ვახსენეთ თანამედროვე ქართული გეოგრაფიულ-ტოპოგრაფიული შრიფტები და მისი შემქმნელი ვ. გონჩაროვი. მაგრამ, ამით არ ამოიწურება ქართული საბეჭდი შრიფტების პრობლემა. საქმე ის არის, რომ ქართული საბეჭდი შრიფტები აშკარად არაეკონომიურია. ამაში ადვილად დარწმუნდებით ჩვეულებრივი პერსონალური კომპიუტერის საშუალებით. აირჩიეთ კომპიუტერში (Word-ის რედაქტორის ფანჯარაში) ნებისმიერი ქართული შრიფტის (Font-ის) რომელიმე ზომის ასოები (Font Size) და დაწერეთ ნებისმიერი 3-4 სტრიქონიანი ქართული ტექსტი. ქვემოდ დაწერეთ იგივე ქართული ტექსტი იგივე ზომის ლათინური ან რუსული ასოებით. ლათინური ასოებისათვის ყველაზე წამგებიან ვარიანტში ქართული ოთხსტრიქონიანი ტექსტი ლათინური ასოებით დაწერის შემთხვევაში დაიკავებს სამ სტრიქონს, ერთი სტრიქონით ნაკლებს. ე.ი., უხეშად რომ ვთქვათ, ადგილს იკავებს 25%-ის ეკონომიით. ახლა ალბათ ცხადია, რა კავშირში არის შრიფტები ეკონომიკასთან.

აი, თურმე საიდან უნდა დაიწყოს ქართული რეფორმები – ასოებიდან და ციფრებიდან!

თუმცა, ზეპირი ანგარიშის რეფორმა საქართველოში იყო შემოთავაზებული ჯერ კიდევ გასული საუკუნის ოცდაათიან წლებში, როდესაც ჩვენმა გამოჩენილმა მათემატიკოსებმა ნიკო მუსხელიშვილმა, გიორგი ნიკოლაძემ და ვიქტორ კუპრაძემ გამოსცეს თავისი მათემატიკური ლექსიკონი, სადაც იყო შემოყვანილი ახალი ზეპირი ანგარიში ათობით თვლის საფუძველზე. მაგალითად, ზემოთ ხსენებული ციფრი 57 იკითხებოდა – ხუთადშვიდი (და არა ორმოცდაჩვიდმეტი). მაგრამ, ეს რეფორმა, როგორც ჩანს ერთსულოვნად დაიმარხა. აკი გითხარით, ძველი, არქაიკული ანგარიში

ჩვენს ქვეცნობიერებაშია გადასული უკვე, და იქედან ამოღება არც თუ ისე იოლი საქმეა.

ასე თუ ისე ჩვენ გვაქვს (მართალია, ჯერ დალუქული, ოფიციალურად არმიღებული) ათობითი ზეპირი ანგარიში. რაც შეეხება შრიფტებს – ეს საქმე ჯერ არ არის გაკეთებული, თუმცა საამისო მეთოდი ალბათ არსებობს.

ახლა კორუფციას შევეხოთ, კორუფცია ხომ ჩვენი ცხოვრების წესია (გავიხსენოთ ბატონ ზურაბ ჟვანიას ეს ფრთაშესხმული ფრაზა) - ჯერჯერობით, ყოველ შემთხვევაში, სანამ მოვერევით მას. და თუ ვერ მოვერევით, მაშინ კორუფცია მოგვერევა – სახელმწიფოს მშენებლობაში აქ არ არსებობს კომპრომისი.

ჯერ კიდევ ხელისუფლებაში "მრგვალი მაგიდის" მოსვლის დროს, საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნებში გამარჯვების შემდეგ, პირველივე აქტი მიმართული რუსული და საბჭოური ძეგლების წინააღმდეგ იყო ალექსანდროვის ბაღში დიდი რუსი მწერლის ნიკოლოზ ვასილის-ძე გოგოლის ბრინჯაოს ბიუსტის გაქრობა. არა ლენინის ძეგლის თავისუფლების (მაშინდელ ლენინის) მოედანზე, რომელიც მართლაც დასანგრევი იყო, რადგან სიმახინჯეს წარმოადგენდა თბილისის არქიტექტურაში, არამედ "მკვდარი სულების" უკვდავი ავტორის ძეგლი. მაშინ ფასიან ლითონს ჯერ არავინ არ ყიდულობდა, და ლითონისათვის არ იყო ჩატარებული ეს ქურდობა (ძეგლი დადგმული იყო 1882 წელს ქ. თბილისის რუსული სათვისტომოს სახსრებით), როგორც, მაგალითად, შემდგომში, უკვე თავისუფალი (ნიბისმიერი ნორმებისგან) ვაჭრობის პერიოდში, ნოდარ დუმბაძის ბრინჯაოს თავი "მზიურის" ბაღიდან და ილია ჭავჭავაძის ბრინჯაოს თავი თბილისის სახემწიფო უნივერსიტეტის ბაღიდან მოიპარეს ლითონის გასაყიდად. ნურას უკაცრავად, ნ. გოგოლის ბიუსტის მოპარვა იყო ერთგვარი პრინციპის, საკუთარი ცხოვრების ყაიდის გამოხატვის და დამტკიცების აქტი. და მართლაც, დაამტკიცეს კიდევაც საბოლოოდ უკვე შევარდნაძის პერიოდში - საქართველომ ჩაწერა ცალკე, საკუთარი თავი "მკვდარი სულების" ყოფიერების წიგნში. ჩვენ დავგმეთ ნ. გოგოლი იმით (გოგოლს უამრავი მტერი ყავს რუსეთშიც, მაგრამ, რუსები ჯერ ეკონომიკაში ჩყუმპალაობენ, ქართველები კი პოლიტიკაში გამოვედით უკვე, და თანაც როგორ!), რომ შევქმენით ჩვენებური დემოკრატია, ისეთი რომ თავად დემოკრატიის მექანიზმი ეფუძნებოდა მკვდარი სულების მიერ ხმის მიცემის პროცედურას. ასეთი რამ თავად ნ. გოგოლის გმირს პ. ი. ჩიჩიკოვსაც არ დაესიზმრებოდა.

ასე შევქმენით ჩვენ სახელმწიფოებრივი სუროგატი, რომელიც ალბათ გინესის რეკორდების წიგნში იქნებოდა შესატანი, თუ ასეთი რეკორდები ფიქსირდებოდეს საერთოდ. ეს იყო სახელმწიფოებრივი ბუშტი, სახელმწიფო, რომელსაც არავითარი სახელმწიფოებრივი შინაარსი არა აქვს; ანდა, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ – სულ სხვა შინაარსი ჰქონდა, რამეთუ შევარდნაძისეული საქართველო იქცა "არქიპელაგ გულაგის" ერთ-ერთ დამოუკიდებელ სამმართველოდ, გულაგის გაძლიერებულ ბასტიონად. არსებობს ამის უტყუარი ნიშნები: 1. ქვეყნის მეთაურებმა (საბოლოოდ ერთი მეთაური დარჩა) მოიპოვეს ძალაუფლება კრიმინალური "რევოლუციის" (სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების) შედეგად. 2. ამ ქვეყნის მთავრობა მართავს ხალხის საზიანოდ და არა მის საკეთილდღეოდ. ამას ადასტურებს ქვეყანაში ხალხის გამათხოვრება და მისი სრული უუფლებობა, ხმის მიცემის ფაქტობრივი უუფლებობის ჩათვლით.

მართალია, საქართველოს მეთაურმა (შემდგომ პრეზიდენტმა) ე. ა. შევარდნაძემ თავისი პოლიტიკური ნიჭის წყალობით თვალი აუხვია თავის ქვეყნის ჭეშმარიტ მდგომარეობაზე დასავლეთის ქვეყნებს. ამით დიდი დახმარება და

კრედიტები მიიღო დასავლეთიდან, რითაც მნიშვნელოვნად გაამრავლა, წინა პერიოდში სავალუტო სპეკულაციებით (დოლარების ყიდვა-გაყიდვის ოპერაციების ფონზე სახელმწიფო კრედიტების აღებით, შემდგომში ეროვნული ფულის გაუფასურებით და მრავალმაგად გაუფასურებული ფულით აღებული თანხების უკან დაბრუნებით) მოპოვებული თავისი და თავის ოლიგარქიული მმართველობის მონაწილე კლანების სიმდიდრე. მაგრამ, როგორც თქვა ანალოგიური საბაბით ერთმა ბრძენმა: შეიძლება ზოგი ატარო ცხვირით ყოველთვის, ყველა შეიძლება ატარო ცხვირით ზოგჯერ, მაგრამ, არ შეიძლება ცხვირით ატარო ყველა და ყოველთვის.

მმართველ პარტიაში ("მოქალაქეთა კავშირში") შეიქმნა ახალგაზრდების გუნდი, რომელსაც ქმნიდა თავადაც ჯერ ახალგაზრდა პარლამენტის თავჯდომარე ზურაბ ჟვანია. ეს ახალგაზრდები, როგორც წესი, არავითარ მონაწილეობას არ ღებულობდნენ ფულების "გაკეთებაში", მაგრამ, თავისი პატიოსანი სახეებით უქმნიდნენ კარგ "იმიჯს" მმართველ ელიტას, ასრულებდნენ ერთგვარი შირმის როლს, რაც აწყობდა პრეზიდენტს და მის ხალხს (ცხადია, ამ სიტყვის ვიწრო გაგებით); მაგრამ, თურმე სულაც არ აწყობდა ზ. ჟვანიას და მის თანამოაზრეებს. ისინი სწავლობდნენ პროფესიონალურ პოლიტიკას უშუალოდ პარლამენტში ფუნქციონირების გამოცდილებაზე და, რაც მთავარია, პრეზიდენტ ე. შევარდნაძესთან (რომელსაც ჰქონდა ძლიერი პოლიტიკური აზროვნება ბეცი სახელმწიფოებრივი აზროვნების ფონზე) ურთიერთობაში, და მწიფდებოდნენ როგორც რადიკალური ოპოზიცია. თანდათან მათ დაიწყეს პრეზიდენტ შევარდნაძის და მისი მთავრობის საჯარო კრიტიკა. განსაკუთრებით მწვავე კრიტიკით გამოირჩეოდა მ. სააკაშვილი, რომელიც ბრალს სდებდა კონკრეტულ პირებს სახელმწიფო ფულის მითვისებაში, და ამხილებდა პრეზიდენტ შევარდნაძეს მათ მფარველობაში. თბილისის ქუჩებში "რადიკალების" მხარდასაჭერად მართავდა მიტინგებს და დემონსტრაციებს ახალგაზრდული მოძრაობა "კმარა". მერე თვითონაც გამოვიდნენ ქუჩებში, რაც დამთავრდა პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით და მასობრივი დემონსტრაციებითა და მიტინგებით ქალაქის ცენტრში. მშრომელი ინტელიგენცია და ხალხი ამოუდგნენ მათ გვერდში. რუსთაველის გამზირზე პარლამენტის შენობის წინ დღე და ღამე ნებისმიერ ამინდში ტარდებოდა უწყვეტი მრავალდღიანი მიტინგი, რომლის მონაწილეთა რაოდენობა ხანდახან აღწევდა რომოდენიმე ათეულ ათასობით ადამიანს. კერძო ტელეკომპანია "რუსთავი 2" გადასცემდა სადღეღამისო რეპორტაჟებს მიტინგების ადგილებიდან, შემდგომ მას მიუერთდნენ სხვა ტელეკომპანიებიც. მთავარი ლოზუნგი და მოთხოვნა პრეზიდენტის მიმართ გამოიხატებოდა ერთი სიტყვით – "გადადექი!" იქვე დადგეს მაგიდები (ამ რეფერენდუმის პირველ დღეს იყო ძლიერი წვიმა და მაგიდებს ზემოდ გაჭიმეს ცელოფანი), მაგიდებთან დასვეს "ნაციონალთა" და "დემოკრატთა" პარტიების წევრები, რომლებიც აგროვებდნენ ხელმოწერებს პრეზიდენტ შევარდნაძის გადადგომის მოთხოვნაზე – ხელს აწერინებდნენ მხოლოდ იმათ, ვისაც ჰქონდა თან პასპორტი (პასპორთის მონაცემები იწერებოდა ხელმოწერის გვერდით). პოლიციელების და ჯარისკაცების უმეტესობის განწყობილება იყო ხალხის სასარგებლოდ. ჯარის რამოდენიმე ნაწილმა დატოვეს იარაღი ყაზარმებში და შეუერთდნენ მომიტინგეებს.

ამ მოძრაობის ლიდერები იყვნენ პარლამენტის წევრები ზურაბ ჟვანია, ნინო ბურჯანაძე (საქართველოს პარლამენტის თავჯდომარე) და თბილისის საკრებულოს თავჯდომარე მიხეილ სააკაშვილი. რა თქმა უნდა, მთავრობა და პარლამენტის უმრავლესობა იყვნენ მათი წინააღმდეგი, მათ მხარეზე კი იყო საკუთარი სინდისი და

ხალხი. პარლამენტში რეაქციის შეტევების მოგერიება უხდებოდა ქალბატონ ნ. ბურჯანაძეს და შედარებით მცირერიცხოვან რადიკალურ ოპოზიციას (ძირითადათ "დემოკრატებისა" და "ნაციონალების" პარტიების ბლოკი). გადამწყვეტი როლი ამ მოძრაობის ჭეშმარიტ რევოლუციად გადაქცევაში შეასრულა ბატონმა მიშა სააკაშვილმა. როდესაც რეაქცია მაქსიმალურად გააქტიურდა, პრეზიდენტმა გასცა მ. სააკაშვილის დაპატიმრების ბრძანება და სიტუაციის გამწვავების მიზნით აჭარის ხელმძღვანელობას ჩამოაყვანინა თბილისში უამრავი (რამოდენიმე სავსე რკინიგზის შემადგენლობა) ხალხი, მათ შორის გადაცმული პოლიციელებიც, სააკაშვილი ჩავიდა სამეგრელოში და წამოიყვანა იქედან თბილისში ხალხით სავსე იკარუსების ავტოკოლონა რევოლუციის დასაცავად. ამ მოვლენების გაგრძელებას მთელი მსოფლიო თვალს ადევნებდა ტელეეკრანების საშუალებით.

ახლა საქართველოს ეძლევა რეალური შანსი თანამედროვე სამყაროში ნამდვილი სახელმწიფოებრიობის შექმნისა. უდავოა, რომ ამჟამად მთავარ პრობლემას წარმოადგენს კორუფციასთან ბრძოლა და ქვეყნის გამოყვანა მათხოვრულ მდგომარეობიდან. მაგრამ, ახლაც უკვე საჭიროა აგრეთვე ვიფიქროთ სახელმწიფოებრივ სისტემაზე, რომელიც განამტკიცებს და შეუქცევადად აქცევს ვარდების რევოლუციის დემოკრატიულ მონაპოვარს. თუმცა ამაზე ფიქრობენ ჩვენს საზოგადოებაში და საკმარისადაც დაძაბულად. მაგრამ, როგორც გამომდინარეობს მასობრივი საინფორმაციო საშუალებების მონაცემებიდან, ამჟამად საქართველოს სახელმწიფოებრივი სტრუქტურა განიხილება ტრადიციულ სქემაში, ე.ი. ხელისუფლების ორი შემადგენელით: პრეზიდენტი და პარლამენტი, იმ პრობლემის გადაწყვეტით, რომ აქ რომელი უნდა იყოს უფრო ძლიერი პირველი თუ მეორე. ასე უკვე წყდებოდა ეს პრობლემა ჩვენს პარლამენტში – იხ. აქ თავი 7 "მესამე ხელისუფლება, თუ ხელისუფლების დანართი?!" ჩვენის აზრით საქართველოს სახელმწიფოებრიობის პრობლემა ამ სქემით ვერ გადაწყდება, რამეთუ დემოკრატიულ საპრეზიდენტო სახელმწიფოში ძალაუფლება სამად უნდა იყოფოდეს და არა ორად. ეს პრობლემა განხილულია ამ წიგნში - იხ. შესავალი და იქ მითითებული თავები. აქ ვიტყვით მხოლოდ, რომ ამ წიგნში შემოთავაზებულ რეფორმას სჭირდება მოსამზადებელი პერიოდი, და ქვეყანაში შექმნილ ვითარებიდან გამომდინარე ამ პერიოდს შეიძლება დასჭირდეს უფრო მეტი დრო, ვიდრე ეს ნავარაუდევია ზემოთ, მე-7 თავში. საქმე ის არის, რომ ქვეყანაში გრძელდება ხავერდოვანი რევოლუცია (სხვა შემთხვევაში ეს რევოლუცია კი არა – გადატრიალება იქნებოდა). ჩვენმა ხელისუფლებამ მიიღო მოსავლელად თავდაყირა დაყენებული ქვეყანა, რომელსაც თავი აქვს ყველაზე დაბალ პოზიციაზე, სოციალური სხეულის დანარჩენი ნაწილები – მაღლა. ხელისუფლების ამოცანაა – დააყენოს ქვეყანა ფეხზე. ჩართულია ერთგვარი პროგრამა (ავიღოთ ანალოგი და ვისესხოთ ტერმინები კომპიუტერების დარგიდან) "ანტივირუსი". სოციალურ ვირუსებს (გნებავთ ვირუსების მატარებლებს) იჭერენ და სვამენ იზოლატორში. თუ განიკურნა და დააბრუნა მის მიერ მითვისებული სახელმწიფოს ფული – უშვებენ თავისუფლებაზე, თუ არა და გადასცემენ სასამართლოში (სადღაც "გვაგონებს" შევარდნაძის დროინდელ სისტემას, იმ განსხვავებით, რომ მაშინ დამტაცებელი აძლევდა ქრთამს მითვისებული ფულიდან პოლიციის მოხელეებს, ახლა კი მთლიანად უნდა დაუბრუნოს სახელმწიფოს). ჰუმანურობის დეფიციტს ასეთ ხელისუფლებას ვერ დასწამებ. 2004 წლის 5 თებერვალს პარლამენტმა ხმების დიდი უმრავლესობით მიიღო ახალი კონსტიტუცია, რომელიც გამოხატავს ქვეყნის გარდამავალ პერიოდს. დროებითი კონსტიტუციის სტატუსით განსაზღვრა იგი საქართველოს იუსტიციის

მინისტრმა ბატონმა ზ. ადეიშვილმა. მაგრამ, ჩვენმა ახალგაზრდა და მიუხედავად ამისა უკვე ცნობილმა იურისტებმა მოუძებნეს ამ კონსტიტუციას მილიონი ნაკლი და დაგმეს იგი. ერთადერთი, მაგრამ, ძირითადი დადებითი თვისება ვერ დაინახეს, რომ ეს კონსტიტუცია სქემებიდან კი არა – ცხოვრებიდან გამოდის, მის რეალურ ამოცანებიდან. სამწუხაროდ, ჩვენი იურისტების ბრწყინვალე აკადემიური მომზადება ამ რეალურ ამოცანების ფონზე წააგავს სქოლასტიკას. დახვეწილი კონსტიტუცია არ მოუხდება ჩვენს თავდაყირა დაყენებულ ერს. მოვა დრო და ასეთი კონსტიტუციის საჭიროებას თვითონ ცხოვრება გვიჩვენებს. და ამის მანიშნებელი უნდა ვეძებოთ არა იურისპრუდენციაში, არამედ ჩვენს ეკონომიკურ სიმწიფეში; აი, მაგალითად, როდესაც საქართველოს მრეწველობის რომელიმე სახის პროდუქცია გავა მსოფლიოს (თუნდაც დსთ-ს) ბაზრებზე და დაიკავებს იქ მყარ პოზიციას. ეს იქნებოდა ამ სიმწიფის პირველი მანიშნებელი.

დასასრულ, რამოდენიმე სიტყვა ისევ ცხოვრების ქვაკუთხედზე – ეკონომიკაზე. არსებობს ორი ალტერნატიული ცხოვრების წესი: ერთი, როგორც უკვე ითქვა, - კორუფცია, მეორე – აღმშენებლობითი პროფესიონალიზმის წესი. თუ ჩვენ სერიოზულად, ე.ი. სიცხადეში და არა მხოლოდ ოცნებაში, გვინდა გადავიქცეთ ევროპულ ქვეყნად, ჩვენი ცხოვრების წესი უნდა გახდეს აღმშენებლობითი პროფესიონალიზმი. მაშასადამე, უნდა შეიქმნას ასეთი საზოგადოებრივი ცხოვრების წესი, როდესაც გულმოდგინე შრომა, ანუ "ადამიანთა პატიოსანი გულმოდგინება იქნება დაცული ჩაგვრის ძალებისა და პარტიების სივიწროვის წინააღმდეგ" (აქ მოყვანილია ევროპული დემოკრატიის ფუძემდებლის ჯ. ლოკის სიტყვები).

ასეთი გრანდიოზული გარდაქმნა ჩვენს ქვეყანაში არც თუ ისე იოლი საქმეა, და მისი მიღწევა ერთბაშად მთელს საქართველოში შეუძლებელია. თუმცა შეიძლება შევქმნათ ასეთი გარდაქმნის ცალკეული პუნქტები – ერთგვარი ბასტიონები. სამხედრო სტრატეგიის განვითარებამ შეიძლება მოგვცეს აქ თავისებური მაგალითი. ცნობილია, რომ მე-19 საუკუნეში და მე-20 საუკუნის დასაწყისში სამხედრო ოპერაციები იგეგმებოდა და სრულდებოდა "ფრონტი ფრონტზე" ერთდროული ბრძოლის პრინციპის საფუძველზე (ე.ი. ფრონტის ორივე მხრიდან ფრონტის ხაზის მთელს სიგრძეზე ამწკრივებდნენ ცოცხალ ძალას და სამხედრო ტექნიკას, და მთელ ამ სიგრძეზე პრაქტიკულად ერთდროულად მიმდინარეობდა ბრძოლა). მაგრამ მე-2 მსოფლიო ომის წინ შეიქმნა უკვე ომის სტრატეგიის ახალი საფუძველი. საომარი ოპერაცია იგეგმებოდა ცალკეული მიმართულებებით, სადაც იქმნებოდა სამხედრო ძალების რიცხობრივი და ხარისხობრივი უპირატესობა. თანამედროვე სამხედრო რუკებზე კარგად ჩანს სამხედრო ოპერაციების ასეთნაირი დაგეგმარება, სადაც ისრებით დატანილია ჯარების დარტყმების მიმართულება და პუნქტები. ეს სტრატეგია ჩვენ უნდა გამოგვადგეს.

მაშასადამე, უნდა შეიქმნას ახალი წყობის ცალკეული ბასტიონები, – სახელმწიფო, კერძო ან შერეული საწარმოო ფირმები, – სადაც იქნება განხორციელებული ახალი ცხოვრების წესი სრულად, და შევეცადოთ სახელმწიფოს დახმარებით გამოვიყვანოთ ასეთი ფირმები წინა ზღვარზე, მსოფლიოს ბაზრებზე გასასვლელად. ქვეყნის დანარჩენი წარმოება და სოფლის მეურნეობა იმუშავებს შიდა და, შეძლებისდაგვარად, დსთ-ს ბაზრებისათვის. ხსენებული "ბასტიონები" შეასრულებენ ერთგვარი პლაცდარმების როლს, საიდანაც ცხოვრების ახალი წესი თანდათანობით გავრცელდება მთელს საქართველოში. მაგრამ, რა ნიადაგზე უნდა შეიქმნას ასეთი აღმშენებლობითი პროფესიონალიზმის ცხოვრების წესის

მატარებელი ფირმები? ცივილიზებული საბაზრო ეკონომიკის პირობებში კერძო მეწარმეები თვითონ უნდა იყვნენ დაინტერესებული თავიანთი საწარმოების ასეთ "ბასტიონებათ" გადაქცევაში. სახელმწიფოს როლი აქ განისაზღვრება სწორი დაბეგვრის პოლიტიკითა და კრიმინალებისაგან და კრიმინალიზაციისაგან ასეთი საწარმოების დაცვით. ეს ის პროცესებია, რომელიც მიმდინარეობს თავისუფალ ეკონომიკურ რაიონებში. მაგრამ სახელმწიფო (მთავრობა) განსაკუთრებულად უნდა იყოს დაინტერესებული ისეთი საწარმო ფირმებით, რომლებიც შესძლებენ თავის პროდუქციის გატანას მსოფლიო ბაზრებზე. ჩვენთან ეს მხოლოდ ბუნებრივი საბაზრო ეკონომიკის ბერკეტებით ვერ მოხდება. ამიტომ დასაწყის პერიოდში, სანამ ასეთი ფირმები დადგებიან ფეხზე, სახელმწიფომ უნდა შეასრულოს ბებიაქალის როლი. ასეთი ფირმები უნდა იქმნებოდეს საქართველოში შექმნილ განსაკუთრებულად პერსპექტიულ გამოგონებების ნიადაგზე, რომლებიც ქმნიან გასაყიდ პროდუქტს (საქონელს) მთლიანად. მთავრობა თავისი სახსრებით, და არა მხოლოდ კრედიტებით უნდა მონაწილეობდეს ასეთი ფირმების შექმნაში ხსენებული გამოგონებების საფუძველზე, სანამ ისინი არ განმტკიცდებიან. მერე კი შეიძლება გაიყიდოს სახელმწიფოს წილის აქციები. ასე ჩვენ შეგვიძლია ბოლო მოუღოთ (ან, დავასრულოთ, რა ტერმინიც მოგეწონებათ) კაპიტალების პირველდაწყებითი დაგროვების პერიოდი, რომელიც საქართველოში იქცა საზოგადოების კრიმინალიზაციის ხანად, და შევცვალოთ აღვირახსნილობა ქვეყანაში მოწესრიგებით.

რა როლი უნდა შეასრულოს სახელმწიფოს რეპრესიულმა აპარატმა ამ პროცესში? რა თქმა უნდა, ცივილიზებულ მთავრობას სურს იმ საწარმოებისა და ფირმებისაგან ამოიღოს ის თანხები, რაც იმათმა "გადაარჩინეს" დაბეგვრისაგან მოგების დამალვის გზით და არ გადაუხადეს სახელმწიფოს გასულ წლებში. მაგრამ ამ თანხების ამოღება უნდა ხდებოდეს მკაცრად კანონიერი მეთოდებით, პროკურატურის ხელში არსებული საბუთების საფუძველზე, ე.ი. უფრო კანონის ფორმიდან, ვიდრე კანონის გონიდან გამომდინარე. სხვა შემთხვევაში, მითუმეტეს თუ რეპრესია გამოხატული იქნება საწარმოს დახურვის სახით, მთავრობა მისცემს ეჭვმიტანილ ბიზნესმენებს პროტესტის ნიშნად პოლიტიკური გამოსვლების საბაბს (როგორც ეს ხდება ამჟამად პროკურატურის მიერ ფირმა "ომეგას" სიგარეტის ფაბრიკის დროებით დახურვასთან დაკავშირებით). გარდა ამისა, სახელმწიფო, რომელსაც ყავს უმუშევრების უზარმაზარი არმია და ცოტაოდენი კორუმპირებული საწარმოების გარდა, სხვა მრეწველობა ფაქტობრივად არ გააჩნია, არ უნდა ადამბლავებდეს არსებულ და ასე თუ ისე მომქმედ წარმოებებსაც საღი აზროვნების თვალსაზრისითაც. ასეთ პირობებში დამალული თანხების ამოღება უნდა ტარდებოდეს არა როგორც ბრძოლა ხსენებულ ბიზნესმენებთან, არამედ, როგორც ჩვეულებრივი (რუტინული) სისხლის სამართლებრივი ძებნა, ყოველგვარი ეფექტების გარეშე.

სახელმწიფოს მთავარი იმპულსი კი უნდა იყოს მიმართული ახალი საწარმო ფირმების, ზემოხსენებული ეკონომიკური ბასტიონების შექმნაზე.

რაც შეეხება რეპრესიულ აპარატს, ის სჯობია მთავრობის მიერ უფრო ეფექტურად იქნას გამოყენებული თავისივე არაკეთილსინდისიერი მოხელეების მიმართ (სხვათა შორის საბაჟო და დაბეგვრის ორგანოებშიც), ვიდრე ბიზნესმენების მიმართ, რადგან არაკეთილსინდისიერი ბიზნესმენი ისეთაც დაკარგავს კონკურენტუნარიანობას, თუ სახელმწიფო უზრუნველყოფს ქვეყანაში საქმიანი ცხოვრების ცივილიზებულ ურთიერთობებს.

აქვე აღვნიშნავთ, რომ კორუმპირებული (ან კორუფციის) ცხოვრების წესის ქვეშ იგულისხმევა არა კრიმინალური კორუფცია, რომელიც კანონით უნდა ისჯებოდეს ყველგან და ყოველთვის, არამედ სახელდობრ ცხოვრების წესი, ე. ი. კორუფციის ისეთი მექანიზმი, რომელიც კანონით არ ისჯება – მაგალითად, სამსახურში მოწყობის დროს, ან თანამდებობრივ საფეხურებზე წინ წაწევის მიზნით, თვითონ თუ ვერ მოიფიქრებდით, უფროსი აუცილებლად გეტყოდათ: დაარეკინეთ ვისმეს ჩემთან. ეს იმას ნიშნავს, რომ ვიღაცამ, ვისაც თავადაც რაღაცის ჩაწყობა შეუძლია, უნდა სთხოვოს თქვენს შესახებ თქვენს უფროსს. ასე მყარდებოდა ცხოვრებისეული კორუფციული კავშირი, რომლის წინაშე კანონი უძლურია, რამეთუ ეს დანაშაული კი არ არის, არამედ ზემოხსენებული სოციალური კულტურის დეფიციტის კიდევ ერთი მაგალითი (იხ. აქ - თავი 8 და 9). და ალბათ, ეს დეფიციტი არსად არ ვლინდება ასე მასშტაბურად, როგორც ჩაწყობების ფენომენში. ჩაწყობების დიდი ოსტატი იყო თავად პრეზიდენტი ე. შევარდნაძე: ეს იყო მისი პოლიტიკური სისტემის ქვაკუთხედი და საზოგადოების კრიმინალიზაციის ფუძე. ცნობილია, როგორ ჩააწყო მან, თავის დროზე გახმაურებულ "თვითმფრინავების მოტაცების" სასამართლო პროცესში, საზოგადოების მხარდაჭერა მოსკოვისათვის სასურველი უმაღლესი ზომის განაჩენისადმი ახალგაზრდების ჯგუფისათვის, რომლებსაც სურდათ ამ ქვეყნიდან გაქცევის დემონსტრირება (აქ ბეწვზე ეკიდა მისი პირადი კარიერა). ამ საქმის უკანასკნელი მსხვერპლი იყო გამსახურდიას დროინდელი პარლამენტის წევრი ბატონი ვ. დომუხოვსკი, რომელსაც დავალებული ჰქონდა ამ საქმის საპარლამენტო გამოძიება და რომელმაც ამასთან დაკავშირებით დაკითხა ბ-ნი შევარდნაძე ქ. მოსკოვში. როდესაც შევარდნაძემ აიღო ძალაუფლება საქართველოში, ვ. დომუხოვსკი ჩასვეს ციხეში. ესეც ჩაწყობით იყო გაკეთებული, რადგან განაჩენი შეთითხნეს სულ სხვა "მიზეზით", ციხეში კი ჩასვეს იმიტომ, რომ დაკითხა შევარდნაძე და მერე, თბილისში ჩამოსვლისას, რომელიღაც გაზეთისთვის მიცემულ ინტრვიუში შევარდნაძის დაკითხვის დროს მიღებული შთაბეჭდილების შესახებ, სიტყვიერად დახატა იგი თაღლითის მაგვარ პიროვნებად. ყველას აგრეთვე ახსოვს, როგორ ჩააწყო მან თავისი სოციალისტური შრომის გმირის წოდება, და რა ფასად დაუჯდა ეს მისი ოქროს ვარსკლავი სახალხო მეურნეობის ასეთ ტრადიციულ ქართულ სტრატეგიულ დარგებს, როგორიც იყო მეჩაეობა (დასავლეთ საქართველოში) და მეღვინეობა (აღმოსავლეთ საქართველოში). ცხადია, შევარდნაძე არ იყო რიგითი თაღლითი. თავის მეორე მოსვლისას საქართველოს პირველი პირის თანამდებობაზე მან ცინიკურად გამოაცხადა ამას წინათ ჩატარებული სამხედრო-კრიმინალური გადატრიალება თბილისში საერთო-სახალხო რევოლუციად, ჩამოიხსნა კომუნისტური იდეოლოგიის ნიღაბი და მოგვევლინა თაღლითების ბელადად. როგორც პოლიტიკოსი ის აერთიანებდა თავის თავში დიდი ფრანგული რევოლუციის შემდგომ დროინდელ ცნობილი ყალიბის ისეთ პოლიტიკოსებს, როგორიც იყვნენ ჟოზეფ ფუშე და შარლ ტალეირანი, ხალხში კი მას ეძახდნენ სატანას. მისი რეჟიმი იყო დანაშაულებრივი კანონისა და ხალხის მიმართ. მაგრამ, უნდა ითქვას, რომ ეს არ არის მარტო ბ-ნ ე. შევარდნაძის დანაშაული, არამედ - მთელი ჩვენი სოციალური კულტურის უკმარისობის შედეგია. მართალია, შევარდნაძემ შექმნა ამ კულტურის დეფიციტზე თავისი ეფემერული "სახელმწიფო", მაგრამ, ჩვენც რაღაც ვისწავლეთ, ყოველ შემთხვევაში ის, თუ როგორ არ უნდა იქმნებოდეს ნამდვილი სახელმწიფო და ვინ არ უნდა ქმნიდეს მას. ჩვენი რევოლუცია კი გვაძლევს ახლა საშუალებას ყველაფერი დავიწყოთ ხელახლა, რადგან იმ ეფემერულ "სახელმწიფოდან" გზა ისევ ნგრევისაკენ მიდის, მეტი არსად.

2004 წლის იანვარი - თებერვალი

13. საერთო შენიშვნები:

1. ამ წიგნში მე შევეხე კრიზისის მხოლოდ ძირითად, კარდინალურ პრობლემებს, და, ბუნებრივია, მიზნად არ მქონდა დასახული იმ მეორადი პრობლემების მთელი სპექტრის ამოწურვა, რომელიც წარმოშვა საქართველოში ეროვნულმა კრიზისმა. ერთ-ერთი ასეთი მწვავე პრობლემაა შევარდნაძისეული საზოგადოების მორალი, რომელიც, როგორც ამ საზოგადოების თითქმის ყველა დანარჩენი ფასეულობა, იყო ყალბი, მოჩვენებითი. ამ ზნეობის ძირითადი იარაღი იყო შავი პიარი, რომელიც შეკვეთილ მკვლელობებთან ერთად წარმოადგენს ბრძოლის ყველაზე მხდალ და ყველაზე ბინძურ მეთოდს, რამეთუ ისახავს მიზნად (და აქ ამ მიზნების მიზნებიც, როგორც წესი, შეესაბამებიან სახსრებს) საზოგადოებაში ადამიანის პიროვნების დისკრედიტაციას, ან მორალურ მოსპობას მასზე შეურაცმყოფელი ჭორების შექმნის და გავრცელების გზით. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-ან წლებში ცნობილი მწერალი კიტა ბუაჩიძე თავის მაშინ თვითგამოცემით გამოსულ "შავ წიგნში" წერდა შავი პიარის ამ მეთოდებზე, რომლებიც უკვე მაშინ იხვეწებოდა შევარდნაძისეულ საზოგადოებაში. ამ პოლიტიკოსის რეჟიმის ბოლო წლებში კი ამ მეთოდების გამოყენებამ მიიღო განსაკუთრებული მასშტაბები და "სახელმწიფო" პოლიტიკაშიც დამკვიდრდა. ბოლოს ვიტყვით, რომ აღნიშნული პრობლემა, ისევე როგორც სხვა მეორადი პრობლემები, ასე თუ ისე იზრდება იმ ძირითად პრობლემებიდან, რომლებიც საფუძვლიანად განხილულია ამ წიგნში.

2. აქ გამოყენებული ახალი და, შესაძლებელია, ბევრისათვის უცნობი ტერმინების განსაზღვრებას ჩვენ არ ვიძლევით, რათა არ შეიცვალოს ამ წიგნის ხასიათი და სტილისტიკა. ასეთი ტერმინებია: პოლიტიკა ზოგადი გაგებით (ე. ი. არსებობს – პოლიტიკა კერძო გაგებით); პოლიტიკური აზროვნება; სახელმწიფოებრივი აზროვნება; საზოგადოებრივი ზნეობა (ან - მორალი). ეს ტერმინები შემოტანილია სათანადო ლიტერატურაში წიგნით: Нико Барнабишвили. «Кризис», Тбилиси, «Мецниереба», 1997. რაც შეეხება ცნებას "არქიპელაგ გულაგი", ის ცნობილია ა. სოლჟენიცინის ამავე სახელწოდების წიგნით (მხატვრული გამოკვლევით), ხოლო ამ ცნების განზოგადება იხილეთ ზემოთ მითითებული წიგნის – "კრიზისის" დანართში.

3. ეთიკური ნორმების თვალსაზრისით ამ წიგნში შეძლებისდაგვარად დაცულია შემდეგი წესი: ნებისმიერი პიროვნების სახელის პირველად მოხსენიების შემთხვევაში, სახელთან (გვართან) სრულად იწერება სიტყვა "ბატონი" (თუ სახელს არ უძღვის თანამდებობა), შემდგომი მოხსენიების დროს ეს სიტყვა იწერება შემცირებულად – "ბ-ნი." ხშირი მოხსენიების შემთხვევაში ზოგჯერ შეიძლება დაიწეროს მხოლოდ გვარი. თუ ლიტერატურული სტილის შენარჩუნების თვალსაზრისით ამ წესის პირველი მოთხოვნის შესრულება რომელიმე წინადადებაში არ ხერხდება, ის შეძლებისდაგვარად შესრულდება იმავე პიროვნების მიმართ

რომელიმე წინადადებაში ქვემოთ. წესის პირველი მოთხოვნა არ სრულდება შესაბამისი ავტორის მიმართ, მისი სიტყვების ციტირების შემთხვევაში, აგრეთვე - ნებისმიერი პიროვნების მიმართ, თუ მის სახელს წინ უძღვის თანამდებობა ან პროფესია.

2004 წლის თებერვალი - 12 მარტი